პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 21 ოქტომბერი, 1951 წ. № 249 (9103). ფასი 20 კაპ.

ეროვნული

## დღეს გაზეთშია

ავამაღლოთ სახალხო სასამართლოს აღმზრდელობითი როლი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

კურკოვანი ხეხილის 205.000 კილოგრამი თესლი თბილისის მიდამოების გასამწვანებლად (მე-2 გვერდი).

ახალი სამედიცინო პრეპარატის წარმოება (მე-2 გვერდი).

სომხეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკთა დელეგაცია თბილისში (მე-2 გვერდი).

კონკურსი საუკეთესო სატელევიზიო რადიომიმღებზე (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი (მე-2 გვერდი).

პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად — როგორ ცხოვრობდნენ და თავიანთი განთავისუფლებისათვის როგორ იბრძოდნენ მუშები და გლეხები მეფის რუსეთში (მე-2 და მე-3 გვერდი).

გ. მეფისაშვილი — იზრდებიან მეავტომობილეთა ახალი კადრები (მე-3 გვერდი).

ფელეტონი — ცილისწამება (მე-3 გვერდი).

გივი მელაძე — ეტლისა და ჩერჩილის წინასაარჩევნო უსიამოვნებანი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ავამაღლოთ სახალხო სასამართლოს აღმზრდელობითი როლი

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდის წინ—კომუნიზმისაკენ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასების სოციალისტური შეგნებულობის დონის ამაღლებას, მათში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევების უფრო მეტად განმტკიცებას, სოციალისტური სამშობლოს წინაშე მათი პასუხისმგებლობის გრძნობის შემდგომ გაძლიერებას.

სწორედ ამიტომ არის, რომ ამჟამად ჩვენს წინაშე მთელი სერიოზულობით დგას ამოცანა — შეუნელებლად ვიბრძოლოთ ადამიანთა შეგნებაში ძველი, დრომოჭმული, კაპიტალისტური ნაშთების წინააღმდეგ, რაც აქა-იქ ჯერ კიდევ იჩენს თავს ჩამორჩენილ, ნაკლებად განვითარებულ ადამიანებში.

სტალინურ კონსტიტუციაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი საბჭოთა ადამიანების უფლება-მოვალეობანი. საბჭოთა კანონმდებლობა მიზნად ისახავს ზუსტად ხორციელდებოდეს სტალინური კონსტიტუციის პრინციპები. ამ კანონმდებლობის დაცვის სადარაჯოზე ფხიზლად დგას საბჭოთა სახალხო სასამართლო. სხვა უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან ერთად, საბჭოთა სასამართლოს ევალება მთელი თავისი საქმიანობით აღზარდოს სსრ კავშირის მოქალაქენი სამშობლოსადმი და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, სოციალისტური საკუთრების წმიდად დაცვის, შრომის დისციპლინის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა სახალხო სასამართლო მთელ თავის საქმიანობას ეწევა მოსახლეობის თვალწინ. სასამართლო პროცესები ეწყობა ღიად და უდიდეს აღმზრდელობით გავლენას ახდენს არა მარტო მათზე, რომლებიც სასამართლოში მოვიდნენ აუცილებლობის გამო, როგორც, მაგალითად, ბრალდებულნი, მოპასუხენი, მოწმენი და ექსპერტები, არამედ ყველა დანარჩენებზეც, რომლებიც პროცესს ესწრებიან. მოსამართლე, რომელიც უნარიანად და კულტურულად, მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაატარებს პროცესს, მთელი აუდიტორიის ყურადღებას გაამახვილებს ამა თუ იმ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე. ამავე მიზანს ემსახურება მხარეთა კამათიც. პროკურორი და ადვოკატი სასამართლო პროცესზე თავიანთ სიტყვებს წარმოთქვამენ არა მარტო იმისათვის, რომ გამოააშკარაონ დანაშაულის სახეობანი და დაახასიათონ დამნაშავის პიროვნება; ამ მნიშვნელოვან ამოცანასთან ერთად მხარეთა კამათის მონაწილენი მოვალენი არიან მისცენ საქმეს სწორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება.

„სახალხო სასამართლო, როცა ამა თუ იმ დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოაშკარავებას და სათანადოდ დასჯის კონკრეტულ ამოცანას ასრულებს, — აღნიშნავდა მ. ი. კალინინი, — ამავე დროს ატარებს უდიდეს მასობრივ-განმარტებითს მუშაობას, რაზმავს დამსწრეთ თვითშემოწმებისათვის, თავისი საკუთარი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, თავის მოვალეობათა უკეთ შესრულებისათვის, სოციალისტური დისციპლინის დაცვისათვის... თუ თქვენ შეეკითხებით ადამიანს, რომელიც თუნდაც ერთხელ ყოფილა სამართალში მიცემული, იგი გიპასუხებთ და თვითონ თქვენც იგრძნობთ, რომ სასამართლოს პროცედურა, თვით სასამართლოს გადაწყვეტილება დიდხანს რჩება ამ ადამიანის მეხსიერებაში, სამუდამო კვალს ტოვებს მასში. რამდენადაც ეს პროცესი კვალს ტოვებს ადამიანის მეხსიერებაში, იმდენად ამ პროცესის გავლენაც ადამიანის ფსიქოლოგიაზე, მის მომავალ მოქმედებაზე დიდი უნდა იყოს“.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სახალხო სასამართლოს ასეთი უდიდესი აღმზრდელობითი შესაძლებლობანი ყველგან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოყენებული.

უკანასკნელ ხანებში ადგილებზე ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინებულ იქნა სახალხო სასამართლოების მუშაობაში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებანი. არიან ისეთი მოსამართლენი, რომელთაც საკმაოდ არა აქვთ შეგნებული სასამართლოს აღმზრდელობითი ამოცანა, თავიანთ როლს განსაზღვრავენ მხოლოდ და მხოლოდ ძიების მიერ წარდგენილი მასალების შემოწმებით და, თუ ბრალდებულმა თავი ცნო დამნაშავედ, — მისთვის სათანადო სასჯელის შეფარდებით. ცხადია, საქმისადმი ასეთი მიდგომით მოსამართლეს ავიწყდება, რომ სასამართლო ძიების მსვლელობაში იგი მოვალეა სრულყოფილად გამოააშკარაოს დანაშაულის არსებითი მხარე. ცალკეული მოსამართლენი სასამართლო პროცესების მომზადებას ზერელედ, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, დაგვიანებით იხილავენ საქმეებს, ზერელედ აწარმოებენ დაკითხვას, არღვევენ საპროცესო ნორმებს. გასაგებია, რომ ასეთ სასამართლო პროცესზე პროკურორისა და ადვოკატის სიტყვებიც ზოგჯერ უშინაარსო, ზოგად და ზერელე ხასიათს ატარებს. ცოტა როდია აგრეთვე ისეთი ფაქტი, როცა განაჩენი იწერება ცუდად და გაუგებრად: იქ ზუსტად არ არის გამოხატული მდგომარეობა, რომელშიც ჩადენილ იქნა დანაშაული, ხოლო დანაშაულს მიცემული არა აქვს პოლიტიკური შეფასება.

ეს ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ როგორც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, ისე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასამართლოთა მუშაობის კულტურას, ჯეროვნად არ აფასებენ სახალხო სასამართლოს პოლიტიკურ-აღმზრდელობით როლს. გარდა ამისა, ადგილებზე ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია იუსტიციის ორგანოების მუშაკთა პოლიტიკური და იურიდიული კვალიფიკაციის ამაღლება. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ჯერ კიდევ 1949 წელს რაიონებში შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკთა მუდმივმოქმედი იურიდიული სემინარები, ადგილებზე დაიგზავნა სათანადო პროგრამები და ლიტერატურა. ზოგან მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ მეტ წილ რაიონებში სემინარების მუშაობა ჩამორჩა, პროგრამით გათვალისწინებული მასალები ვერ ამოწურეს. წელს კი ამ სემინარების შექმნისა და მეცადინეობის განახლებისათვის ბევრი რამ არ გაკეთებულა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველმხრივ დაეხმარონ და უხელმძღვანელონ აღნიშნულ სემინარებს, მიიღონ ზომები მათი მეცადინეობის მაღალ იდეურ დონეზე დაყენებისათვის.

საქართველოს მშრომელებმა 1949 წლის თებერვალში სახალხო სასამართლოებში აირჩიეს პარტიისა და ხალხის ნდობით აღჭურვილი ადამიანები, მათ შორის ბევრი ახალგაზრდა კადრები, რომელთაც სასამართლო ორგანოებში წინათ მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდათ. ამ კადრებიდან ბევრმა გაამართლა ამომრჩეველთა მაღალი ნდობა, აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. ამას ადასტურებს თავიანთი მუშაობის ანგარიშით სახალხო მოსამართლეთა გამოსვლები ამომრჩეველთა წინაშე, რაც ადგილებზე იმართება. ბევრმა სახალხო მოსამართლემ თავისი ობიექტური მუშაობით, სასამართლო პროცესის მომზადებულად და მაღალ დონეზე ჩატარებით ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ახალგაზრდა მოსამართლეებისადმი ყოველდღიური დახმარება, მათი საჭიროებებისათვის სისტემატური ზრუნვა მარტო იუსტიციის სამინისტროს მოვალეობა როდია. პარტიის რაიონული კომიტეტები და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მუდამ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი იმით, რომ მათი რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო სასამართლოები ღირსეულად ამართლებდნენ პარტიისა და მთავრობის ნდობას, საბჭოთა ხალხის ნდობას, მუდამ და ყოველთვის იდგნენ საბჭოთა კანონიერების დაცვის სადარაჯოზე.

სახალხო სასამართლოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება უფრო მეტად აამაღლებს მათს აღმზრდელობით როლს. იუსტიციის ორგანოებთან ერთად ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

მოსკოვი, კრემლი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ყირგიზეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (ბრინჯის გამოკლებით). გრძელდება კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ების მუშაობისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სრულად იმარაგებენ 1952 წლის საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო თესლს. ამჟამად კოლმეურნეობანი ქმნიან საფურაჟე, სადაზღვევო და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს, რომლებიც საჭიროა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამავე დროს მოგახსენებთ, რომ საზეთე სელის დამზადების გეგმა შესრულებულია 138,4 პროცენტით, ყურძნისა—113,6 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა—101,4 პროცენტით, სახელმწიფოს ჩაბარდა შარშანდელზე 1.730 ცენტნერით მეტი აბრეშუმის პარკი. ვადამდე შესრულებულია აგრეთვე ტყავნედლეულის დამზადების გეგმა.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დაძაბულად მუშაობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებისათვის. უკანასკნელი ორი წლისა და 9 თვის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა საკოლმეურნეო ფერმებში გადიდდა 34,8 პროცენტით, ცხვრისა და თხის სულადობა — 49,4 პროცენტით, ღორისა—112,6 პროცენტით, ფრინველისა—81,9 პროცენტით, ცხენის სულადობა—29,1 პროცენტით.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჩვენს მუშაობაში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, განსაკუთრებით საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლებისათვის და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის საკვების მტკიცე ბაზის შექმნაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ჩვენ ვიღებთ ზომებს ამ ნაკლოვანებათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრისათვის.

პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის ორგანოები, კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ შეასრულონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა, უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პირუტყვის გამოკვება და თბილად მოზამთრება, შეასრულონ ნედლი ბამბის, შაქრის ჭარხლის, ყვითელი თამბაქოს, ძვირფასი ლაფნეული კულტურების — ჯუთის, კენაფის, კანაფისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად თქვენი, ამხანაგო სტალინ, მუდმივი მზრუნველობით და დახმარებით აღფრთოვანებული საბჭოთა ყირგიზეთის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანის წარმატებით შესრულება, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის სწრაფი გამრავლება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ყირგიზეთის სს რესპუბლიკის მშრომელები შემდგომ წარმატებებს მიაღწევენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი დიადი სამშობლოს—მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის ბურჯის ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ყირგიზი ხალხი სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. რაზაკოვი
ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. სუერკულოვი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში ქ. ჯანალიევი
ყირგიზეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ზ. ბაბრამოვი
ყირგიზეთის სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი დ. ტურატბეკოვი
ყირგიზეთის სსრ მეხამხეობის მინისტრი ქ. ქაჩკეევი
ყირგიზეთის სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი ა. იუსუპოვი

## ბედნიერი ხალხის სიმღერები და ცეკვები

(მხატვრული თვითმოქმედების VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე)

ხალხური მხატვრული შემოქმედების დათვალიერების მეექვსე დღეს, გუშინ, დედაქალაქის მაყურებელთა წინაშე პირველნი გამოვიდნენ ქალაქ ბათუმის მასწავლებლის სახლის თვითმოქმედი კოლექტივის მონაწილენი. მათი უმრავლესობა პედაგოგებია. ამ კოლექტივმა ვ. გოგიტიძის ხელმძღვანელობით საუცხოოდ შეასრულა სიმღერა „დიდება ბელადს“, რომლის მუსიკა ეკუთვნის ალ. ფარცხალაძეს (ტექსტი ნ. მალაზონიასი). გუნდის მიერ შესრულებულმა სიმღერამ „სამშობლო ხევსურისა“ და „მასხარას კუპლეტებმა“ ოპერა „დარეჯან ცბიერიდან“ დამსწრეთა შორის ოვაცია გამოიწვია.

დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო თიანეთის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ვ. მკერვალიშვილი), რომელმაც შესანიშნავად შეასრულა— დ. თორაძის „თიანეთური“ (ტექსტი ქ. კალაძის), „მისალმება“ (დამუშავებული ვ. მკერვალიშვილის, ტექსტი ნ. ხაიაურის), „სუფრული“ და „სიმღერა საქართველოზე“. ამ თვითმოქმედი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გამოავლინა ხალხის წიაღიდან გამოსული ახალი ნიჭიერი შემსრულებლები, როგორიც არიან მზალო მაჩურიშვილი, რაისა ირაჯაული, თინა ფირცხელაური, ნესტორ ხაიაური და სხვები.

ჭიათურის რაიონის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდმა ა. როზმაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა ხალხური სიმღერა ბელადზე, „ზამთარი“ და „მყავდა ქალი მუქთახორა“. ამ თვითმოქმედი კოლექტივიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნანა ბოჭორიშვილი, გოგუცა ცერცვაძე, თამარ ჯაფარიძე და მოცეკვავენი ლამარა მოდებაძე და მამია წერეთელი.

სამხრეთ ოსეთის ყველაზე შორეული სოფელია როკი. ამ საკოლმეურნეო სოფლის მომღერალთა გუნდმა მარიამ პლიევას ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა სიმღერები „სუფრული“, „სიმღერა ხაზბიზე“ და „ორი წერილი“ (სოლისტი ზალიხან გუსალოვა).

ზემო სვანეთის რაიონის კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივის (ხელმძღვანელი პლატონ დადვანი) მიერ შესრულებულმა „სიმღერამ სტალინზე“, „მიშა და გერგილმა“, „ლაჟღვაშმა“, „მირანგულამ“ და ფერხულმა „თამარ დედოფალი“ დამსწრეთა საერთო ოვაცია გამოიწვია.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა ზუგდიდის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (ხელმძღვანელი ი. კალანდია, ქორეოგრაფი გ. ჩახავა, ინსტრუმენტალური ჯგუფის ხელმძღვანელი შ. ბიგვავა). ანსამბლმა შესანიშნავად შეასრულა ი. ტუსკიას „სიმღერა სტალინზე“, გრ. კოკელაძის „ჩვენი სალამი თბილისს“, „ქალ-ვაჟის გაბაასება“, „მეჩაიე სტახანოველთა სიმღერა“, ცეკვები „საკოლმეურნეო საცეკვაო“, „ქართული“ და „ფერხული“. ამ თვითმოქმედი კოლექტივის მოცეკვავეთა ჯგუფის სოლისტებმა ვენერა ჩახავამ, სერგო წოწონავამ, დომენტი კიტიამ და კაპიტონ სართანიამ საერთო მოწონება დაიმსახურეს.

წალკის რაიონის კულტურის სახლის მომღერალ-მოცეკვავეთა ჯგუფმა სულ ორი სიმღერა შეასრულა: „გენერალისიმუსი სტალინი“ და „სურაია“ ცეკვით. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ ამ ახალგაზრდა თვითმოქმედი კოლექტივის პირველ გამოსვლას რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

საინტერესო იყო ბათუმის რაიონის სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის თვითმოქმედი კოლექტივის გამოსვლა, რომელმაც საუცხოოდ შეასრულა ვ. მურადელის „სიმღერა სტალინზე“; ო. თაქთაქიშვილის „კომკავშირული მარში“ (ტექსტი ა. აბშილავასი) და უკრაინული ხალხური ცეკვა.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ზნაურის რაიონის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის გამოსვლამ ანა დესაძის ხელმძღვანელობით. გუნდმა კარგად შეასრულა ხალხური სიმღერა სტალინზე (დამწყებნი ანა დესაძე და ზამირა გაგიევა) და „ნამგალო“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ანა დესაძეს, რომელმაც კარგად შეასრულა ხალხური „ურმული“.

აღსანიშნავია ქალაქ სტალინირის მასწავლებლის სახლის მოცეკვავეთა ჯგუფის გამოსვლა გიორგი თედეევის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფის მოცეკვავეებმა ეფროსია ჯიოევამ, გიორგი თედეევმა, ხაზმი გაგლოევმა და ვახტანგ ენალდიევმა მთელ ჯგუფთან ერთად მაღალი ოსტატობით შეასრულეს ცეკვები „სიმდი“, „ზილგა“ და „ცეკვა ცერებზე“.

მაყურებლები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ქობულეთის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი ა. ანანიძე, ქორეოგრაფი ს. ახალაძე) მიერ შესრულებულ სიმღერებს — სტალინზე, „შვიდკაცას“ და „ხასანბეგურას“. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მოცეკვავეთა ჯგუფის მიერ შესრულებულმა საკოლმეურნეო ცეკვამ „ჩაის კრეფა“ და „ქობულეთურმა „საზეიმო ხორუმმა“, რომელიც დამუშავებულია ალ. ანანიძის მიერ.

წარმატება ხვდათ აგრეთვე აჭარკოოპკავშირის კლუბის მეჩონგურეთა ანსამბლს და ქედის რაიონის ცხმორისის კოლმეურნეობის მოცეკვავეთა ჯგუფს.

მაყურებელთა წინაშე მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდა ხულოს რაიონის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ხ. მიქელაძის ხელმძღვანელობით (ცეკვების დამდგმელები თეიმურაზ და იაკობ მელაძეები). ანსამბლმა წარმატებით შეასრულა გრ. კოკელაძის „სიმღერა ბელადზე“ (ტექსტი ს. ფაშალიშვილისა), „აჭარული ნადური“ და „აჭარული მაყრული“. დამსწრეთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფის მიერ შესრულებულმა ცეკვებმა: „მხარული“ (სოლისტი მელაძე), „თამბაქოს კრეფა“ (თეიმურაზ, იაკობ მელაძეებისა და შ. მესხის შესრულებით), „განდაგან“ და „ხორუმი“.

ამით დამთავრდა ოლიმპიადის მეექვსე კონცერტი.

• • •

დღეს, ოლიმპიადის მეშვიდე კონცერტზე გამოვლენ თელავის, ახალციხის, თერჯოლის, ამბროლაურის, წულუკიძის, დმანისის, ახმეტის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის რაიონებისა და ქალაქ სტალინირის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.





სურათებზე: ზემოთ — გალის კულტურის სახლის ანსამბლის გამოსვლა; ქვემოთ (მარცხნიდან მარჯვნივ) — ახალქალაქის ანსამბლი ასრულებს ცეკვას „მოსავლის ზეიმი“; გეგეჭკორის კულტურის სახლის ანსამბლის გამოსვლა; ხილნალის ანსამბლის მონაწილეები ი. ტურაშვილი და ე. შაიშმელაშვილი ასრულებენ ცეკვას „მწყემსური“.

ფოტო ვლ. ვინზბურგისა და რ. აკოფოვისა.

## ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.000 ცენტნერი ყურძენი

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 16 ოქტომბრისათვის 106,4 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანი ამხ. ჭანუყვაძე და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჯიბუტი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.000 ცენტნერი ყურძენი.

## კურკოვანი ხეხილის 205.000 კილოგრამი თესლი თბილისის მიდამოების გასამწვანებლად

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს მიმდინარე წელს დავალებული ჰქონდათ მოეწყოთ კომკავშირელების, პიონერებისა და მოსწავლეების საშუალებით თბილისის მიდამოების გამწვანებისათვის კურკოვანი ხეხილის 200.000 კილოგრამი თესლის შეგროვება. ეს დავალება შესრულებულია გადაჭარბებით. შეგროვებულია კურკოვანთა 205.000 კილოგრამი თესლი, მათ შორის: ატმის თესლი — 159.936 კილოგრამი, გარგარისა და ჰერამისა — 35.864, ქლიავისა — 4.700, ტყემლისა — 4.500 კილოგრამი.

ხეხილის თესლის შეგროვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ქ. თბილისის, საგარეჯოს, ბოლნისის, ახმეტის, ყვარლის, წითელწყაროს, კასპის, მცხეთის, ქარელის, სამტრედიის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით 175 ახალგაზრდა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ თესლის შეგროვების საქმეში, დაჯილდოებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

კურკოვანი ხეხილის თესლის შეგროვება გრძელდება. (საქინფორმი).



სურათზე: სომხეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკთა დელეგაცია (მარცხნიდან მარჯვნივ): ქ. იეკიმოვა, შ. ალაბაჯიანი, ზ. დილანიანი, დ. ოვანესიანი, ს. პაპიანი, ს. ვართანიანი.

ფოტო ელ. გინზბურგისა

## სომხეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკთა დელეგაცია თბილისში

გუშინ, 20 ოქტომბერს, თბილისში ჩამოვიდა მოძმე სომხეთის სს რესპუბლიკის მეცხოველეობის მუშაკთა დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზ. დილანიანი (ხელმძღვანელი), სომხეთის საკვებმოპოვების ინსტიტუტის დირექტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შ. ალაბაჯიანი, სომხეთის კ. პ. (ბ) ბერიას რაიკომის პირველი მდივანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. ოვანესიანი, ნორბაიაზეთის რაიონის სოფელ კარმირის კოლმეურნეობა „სპარტაკის“ თავმჯდომარე, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ს. ვართანიანი, სტეპანავანის რაიონის სოფელ სტეპანავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ს. პაპიანი, კალინინის რაიონის სოფელ სარატოვკის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქსენია იეკიმოვა.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია საქართველოს და სომხეთის მეცხოველეობის მუშაკთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმება, საქართველოს მეცხოველეობის მოწინავეთა გამოცდილების გაცნობა.

გუშინ დელეგაცია გაეცნო საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მუშაობას, საქართველოს ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიღწევებს და სხვ.

საღამოს დელეგაციის წევრები დაესწრნენ მხატვრული თვითმოქმედების VII რესპუბლიკური ოლიმპიადის მეექვსე კონცერტს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

## მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სავაჭრო დელეგაცია

ამა წლის 19 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე დ. მაიდარი.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ა. ერიომინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი მ. ი. სლადკოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1-ლი შორეულ აღმოსავლეთის განყოფილების გამგე გ. ი. ტუნკინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს კორეისა და მონღოლეთის განყოფილების უფროსი ნ. ს. სამსონოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი გ. ი. ნიკოლაევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პ. ა. ბუშუევი.

დელეგაციას აგრეთვე შეხვდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული დ. ადილბიში.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე ვ. ე. სტატიევი.

## ახალი სამედიცინო პრეპარატის წარმოება

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის ენდოკრინული პრეპარატების ქარხანამ აითვისა ახალი სამედიცინო პრეპარატის — „კორტინის“ წარმოება ამპულებით.

ეს პრეპარატი შეიმუშავა ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფმა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ნ. ა. შერეშევსკის ხელმძღვანელობით. „კორტინი“ ბრინჯაოს ავადმყოფობის საიმედო სამკურნალო საშუალებაა და აგრეთვე წარმატებით იხმარება მძიმე ინფექციურ დაავადებათა შემდეგ გამოჯანმრთელების პერიოდში.

„კორტინის“ დასამზადებლად ქარხნის მუშაკებმა შეიმუშავეს და დაამონტაჟეს სპეციალური აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლევა ახალი პრეპარატი გამოუშვან ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებათა მოთხოვნილებას. (საქინფორმი).

## დამთავრდა ვოლგადონმშენისათვის მძლავრი მოწყობილობის მიწოდება

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა შეასრულეს ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებისათვის მძლავრი მოწყობილობის მიწოდების გეგმა.

ვოლგადონმშენს გაეგზავნა ტურბინების სრული კომპლექტი ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგურისათვის, რამდენიმე ათეული პორტალური ამწე, ასობით ტრანსპორტიორი, ბლოკი და ტელფერი.

მშენებელთა შრომას ბევრად შეამსუბუქებს 150-ტონიანი პორტალური ამწეები, რომლებიც გამოუშვა ქარხანა „სიბტიაჟმაშმა“. ამ აგრეგატების დახმარებით მოხდება ტურბინებისა და სხვა ჰიდროტექნიკური მოწყობილობის მონტაჟი და დადგმა.

სამინისტროს ქარხნებმა მთლიანად შეასრულეს ვოლგა-დონის მშენებლებისათვის ექსკავატორების მიწოდების გეგმა. (საქინფორმი).

## კონკურსი საუკეთესო სატელევიზიო რადიომიმღებზე

კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრომ რადიოტექნიკისა და ელექტროკავშირგაბმულობის ა. ს. პოპოვის სახელობის საკავშირო სამეცნიერო საინჟინრო-ტექნიკურ საზოგადოებასთან ერთად გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო კონსტრუქციის მასობრივ სატელევიზიო რადიომიმღებზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, რადიომოყვარულებს.

ტელევიზორების ნიმუშები მიღებულ იქნება განმარტებითი ბარათთან ერთად, სადაც დაწვრილებით უნდა იყოს გაშუქებული მიმღების კონსტრუქცია.

დაწესებულია შვიდი პრემია.

კონკურსი გაგრძელდება 1952 წლის 1 აგვისტომდე. (საქინფორმი).

## მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

ბიბლიოთეკის — „საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობები და კონფერენციები“ სერიით, რომელსაც პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა უშვებს, გამოვიდა მ. პანტელეევის ბროშურა „რსდმპ მეოთხე კონფერენცია („მესამე სრულიად რუსეთისა“)“.

წიგნების სერიით „მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად“, რომელსაც პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა უშვებს, გამოვიდა დ. ბაზშილის წიგნი „ბოლშევიკების პარტია — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი“.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრამ გამოუშვა ტ. ი. გუზარევის წიგნი „სსრ კავშირში მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კლასობრივი ზღვარის წაშლის შესახებ“.

დაიბეჭდა და გამოვიდა პ. ალექსანდროვის ბროშურა „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური თეორია და პარტიის ბრძოლა მისი განხორციელებისათვის“. (საქინფორმი).

## საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი

ამა წლის 26 სექტემბერს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა შუმანმა სსრ კავშირის დროებით საქმეთა რწმუნებულს საფრანგეთში ვ. ი. ავილოვს გადასცა საფრანგეთის მთავრობის ნოტა, რომელიც წარმოადგენს პასუხს სსრ კავშირის მთავრობის ამა წლის 11 სექტემბრის ნოტაზე დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკის შესახებ, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა ახორციელებს.

საფრანგეთის მთავრობას თავის ნოტაში არ მოჰყავს არავითარი კონკრეტული ფაქტი და ცდილობს მის მიერ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისათვის მიღებული ღონისძიებანი წარმოადგინოს როგორც თითქოს რაღაც „დაბრკოლება გერმანიის აგრესიული სამხედრო ძლიერების აღორძინების გზაზე“. ამასთან საფრანგეთის მთავრობა ცდილობს დაამტკიცოს, რომ მის მიერ ევროპაში მიღებულ ღონისძიებებს თითქოს თავდაცვითი ხასიათი აქვს, და უარყოფს, რომ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა ეწინააღმდეგება მის მიერ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის 10 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ამავე ნოტაში საფრანგეთის მთავრობა, ყველასათვის ცნობილი ფაქტების საწინააღმდეგოდ, ამტკიცებს, თითქოს „შუმანის გეგმა“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ევროპის სახელმწიფოთა შორის ეკონომიურ გაერთიანებას და ნამდვილად არ წარმოადგენს დასავლეთ გერმანიის სამხედრო მრეწველობის აღდგენის გეგმას.

შემდეგ საფრანგეთის მთავრობა თავის ნოტაში ცდილობს დაამტკიცოს, რომ 1939 წელს მან თითქოს მიიღო რაღაც ღონისძიებანი ჰიტლერული გერმანიის მხრივ სამხრეთ მოქმედების თავიდან ასაცილებლად და ამავე დროს იმეორებს ცილისმწამებლურ მტკიცებას იმ პერიოდში გერმანიის მიმართ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

19 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ბრიონვალი და გადასცა მას სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი საპასუხო ნოტა:

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საფრანგეთის მთავრობის ამა წლის 26 სექტემბრის ნოტასთან დაკავშირებით, პატივი აქვს განაცხადოს შემდეგი:

საფრანგეთის მთავრობა თავის ნოტაში უსაბუთოდ ცდილობს უარყოს ფაქტები, რომლებსაც საბჭოთა მთავრობის 11 სექტემბრის ნოტა შეიცავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტები დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან ერთად ახორციელებს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და აღმოსავლეთის რევანშისტულ მთავრობასთან სამხედრო კავშირის პოლიტიკას. ამას ადასტურებენ აგრეთვე უკანასკნელი დროის ამბები.

მაგალითად, ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესიის შედეგების შესახებ 20 სექტემბერს გამოქვეყნებული კომუნიკედან ჩანს, რომ ამ სესიაზე საფრანგეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და სხვა მთავრობებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილებანი მთელ რიგ სამხედრო საკითხებზე, მათ შორის ამ ბლოკის შეიარაღებულ ძალებში დასავლეთ გერმანიის არმიის შეყვანის შესახებ, რომლის მეთაურებად ჰიტლერელ გენერლებს აყენებენ.

ამრიგად, საფრანგეთის მთავრობის ნოტის მტკიცება, თითქოს ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს თავდაცვითი ხასიათი აქვს, თავიდან ბოლომდე ყალბია და აშკარად ისახავს მიზნად საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას. სწორედ ასეთ ღონისძიებებს უნდა მიეკუთვნოს დასავლეთ გერმანიის შეყვანა აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში, რასაც საღი აზრის საწინააღმდეგოდ განმარტავენ როგორც რაღაც „დაბრკოლებას გერმანიის ავტონომიური სამხედრო ძლიერების აღორძინების გზაზე“.

სრულიად უსაფუძვლოა აგრეთვე საფრანგეთის მთავრობის მიერ იმის დამოწმება, რომ ეგრეთწოდებული „შუმანის გეგმა“ თითქოს ისახავს არა სამხედრო, არამედ მშვიდობისმოყვარულ მიზნებს. საკმაოა აღინიშნოს, რომ ამ გეგმის სამხედრო ხასიათს ადასტურებს აგრეთვე ამა წლის 14 სექტემბრის დეკლარაცია საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შედეგის შესახებ, რომლებმაც აღიარეს „შუმანის გეგმის“ დიდი მნიშვნელობა დასავლეთ გერმანიაში მათი სამხედრო ღონისძიებების განხორციელების საქმეში.

საფრანგეთის მთავრობა თავის ნოტაში ცდილობს უარყოს ის ფაქტი, რომ ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების პოლიტიკამ მეორე მსოფლიო ომის წინ ჰიტლერულ გერმანიას გაუადვილა შესაძლებლობა დაეწყო სამხრეთ მოქმედება, თუმცა ყველამ იცის, რომ სწორედ საფრანგეთის მთავრობის მიუნხენის გარიგებამ ჰიტლერელებთან 1938 წელს დააჩქარა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება. ცნობილია აგრეთვე, რომ საფრანგეთ-გერმანიის ამ ომში იყო ისეთი პერიოდი, რომელსაც ფრანგმა ხალხმა სრულიად სამართლიანად დაარქვა უწოდა „უცნაური ომი“, რადგან საფრანგეთის სარდლობა უმოქმედობას იჩენდა, ხოლო დალადიე-რეინოს მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ხელი არ შეეშალა ფაშისტური გერმანიისათვის განევითარებინა თავისი სამხედრო მრეწველობა და დაუბრკოლებლად მომზადებულიყო სსრ კავშირზე თავდასასხმელად. არანაკლებ ცნობილია ისიც, რომ ამ დროს საფრანგეთის გენერალური შტაბი ამუშავებდა ფინეთისათვის სამხედრო დახმარების გეგმებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მის ომში, ხოლო გენერლები დე გოლი და ვეიგანი ამუშავებდნენ ლენინგრადსა და კავკასიაზე თავდასხმის გეგმებს.

რაც შეეხება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის 1939 წლის ოქტომბრის გამოსვლის აშკარად ტენდენციურ დამოწმებას, რასაც საფრანგეთის მთავრობის ნოტა შეიცავს, ეს დამოწმება არაფრით არ განსხვავდება იმ ცილისმწამებლური გამოხდომებისაგან, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ამერიკის კრებულში „ნაცისტებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა 1939-1941 წლებში“ და რომელთა პროვოკაციული ხასიათი თავის დროზე უკვე სავსებით მხილებულ იქნა.

საბჭოთა მთავრობა ადასტურებს თავის განცხადებას საფრანგეთის მთავრობის ახლანდელი პოლიტიკის საშიში შედეგების შესახებ, საფრანგეთის მთავრობისა, რომელიც მუშაობს დასავლეთ გერმანიის აგრესიულ ძალებთან სამხედრო კავშირის შესაკოწიწებლად, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ასეთი პოლიტიკა არ შეესაბამება პოტსდამის შეთანხმებას და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის 10 დეკემბრის ხელშეკრულების ვალდებულებებს, და საჭიროდ მიაჩნია კვლავ განაცხადოს, რომ მთელი პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის საფრანგეთის მთავრობას ეკისრება“.

## საბჭოთა ფილმების კინოფესტივალი ოსლოში

ოსლო, 19 ოქტომბერი. (საქინფორმი). გუშინ ოსლოში დამთავრდა საზოგადოება „ნორვეგია-სსრ კავშირის“ მიერ მოწყობილი საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

მაყურებლებმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით ნახეს კინოფილმები „აკადემიკოსი ივანე პავლოვი“, „გიმარჯობა, მოსკოვო“, „შეხვედრა ელბაზე“, „იან რაინისი“, „ვოლგაზე“, „ურალი“ და მთელი რიგი სხვა ფილმები.

ფესტივალის დროს გამოვიდნენ ნორვეგიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ნორვეგიელმა მწერალმა ქალმა ლის ლინდბეკმა ილაპარაკა ნახული ფილმებით და საბჭოთა კავშირში მგზავრობისას მიღებულ შთაბეჭდილებაზე.

ფესტივალთან ერთდროულად ოსლოში გახსნილი იყო სსრ კავშირში კომუნიზმის დიადი მშენებლობებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

პროგრესული პრესა მეტად მაღალ შეფასებას აძლევს კინოფესტივალს.



## როგორ ცხოვრობდნენ და თავიანთი განთავისუფლებისათვის როგორ იბრძოდნენ მუშები და გლეხები მეფის რუსეთში

**მეცადინეობის მიზანი.** პირველი თემის — „როგორ ცხოვრობდნენ და თავიანთი განთავისუფლებისათვის როგორ იბრძოდნენ მუშები და გლეხები მეფის რუსეთში“ მასალების შესწავლა მსმენელებს მისცემს ძირითად ცოდნას თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის მშრომელთა ბრძოლაში მუშათა კლასის წამყვანი როლის შესახებ; რევოლუციური მარქსისტული პარტიის როგორც მუშათა კლასის ხელმძღვანელი ორგანიზაციის, როგორც მუშათა კლასის ძირითადი იარაღის შესახებ, ურომლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში; რევოლუციურ ბრძოლაში მუშათა კლასის მოკავშირეების შესახებ.

პირველი თემის მიზანია მეფის რუსეთის მუშებისა და გლეხების ბრძოლის მაგალითით ვუჩვენოთ მსმენელებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორიის უდიდესი მნიშვნელობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. მსმენელებმა ნათელი წარმოდგენა უნდა მიიღონ რუსეთის პროლეტარიატის სახელოვან რევოლუციურ წარსულზე, რევოლუციის გენიოსების, ბოლშევიზმის ფუძემდებლების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიად თანამეგობრობაზე, იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდნენ და შემოქმედებითად იყენებდნენ ისინი მარქსისტულ თეორიას, როგორ იბრძოდნენ მუშათა მოძრაობასთან მეცნიერული სოციალიზმის შეერთებისათვის, ახალი ტიპის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის. მეცადინეობამ უნდა აჩვენოს, თუ როგორ აზმადა ბოლშევიკური პარტია მეფის რუსეთის მშრომელებს თვითმპყრობელობის დამხობისათვის, მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლის მოსპობისათვის რევოლუციური ბრძოლის საწარმოებლად.

**სასწავლო დროის განაწილება.** თემის „როგორ ცხოვრობდნენ და თავიანთი განთავისუფლებისათვის როგორ იბრძოდნენ მუშები და გლეხები მეფის რუსეთში“ შესწავლას სასწავლო გეგმაში დათმობილი აქვს 8 საათი. მიზანშეწონილია ეს დრო შემდეგნაირად განაწილდეს:

1. **მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში — 4 საათი.**
2. **მუშებისა და გლეხების ბრძოლა მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ — 4 საათი.**

* * *

ქვეთემა „მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში“ შესწავლილ უნდა იქნას ორ მეცადინეობაზე. პირველი მეცადინეობის დროს მსმენელებს უნდა გავაცნოთ ბატონყმობა, მისი გაუქმების მიზეზები, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, კაპიტალისტური საზოგადოების საერთო დახასიათება.

მეორე მეცადინეობა მიეძღვნება მეფის რუსეთში მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მდგომარეობას, რუსეთის თვითმპყრობელობის ეროვნულ პოლიტიკას, წარსულში რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზებს, უცხოეთის კაპიტალისაგან რუსეთის დამოკიდებულების გაცნობას.

პირველი ქვეთემის მიხედვით — „მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში“ — მეცადინეობისათვის მზადებისას პროპაგანდისტმა ღრმად უნდა შეისწავლოს ვ. ი. ლენინის ნაშრომები „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები“ (თხზ. ტ. 2) და „ბატონყმობის გადავარდნის ორმოცდაათი წლისთავი“ (თხზ. ტ. 17), „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 5-34.

**პროპაგანდისტის საუბარი.** ქვეთემის „მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში“ პირველი ნაწილის მიხედვით საუბარი შეიძლება დაახლოებით ასეთი გეგმით ჩატარდეს:

1. ბატონყმობა და მისი გაუქმების მიზეზები.
2. გლეხების გაძარცვა ბატონყმობის გაუქმების შედეგად.
3. ბატონყმობის ნაშთები.
4. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში.
5. კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი ნიშნები.

ბატონყმობის შესახებ საუბარში ხაზი უნდა გაესვას გლეხების მიმაგრებას მიწაზე, რომელიც მემამულეს ეკუთვნოდა, და იმის ჩვენებას, თუ გლეხობის რა უმკაცრეს ჩაგვრას იწვევდა ასეთი მიმაგრება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ბატონყმობა გლეხებს საშუალებას უსპობდა სამუშაოს საშოვრად წასულიყვნენ ქალაქში. ეს გარემოება მთავარი დაბრკოლება იყო მრეწველობის განვითარებისათვის, რომელსაც მუშახელის მუდმივი ნაკადი ესაჭიროებოდა.

1861 წლის რეფორმის კაბალური ხასიათის განმარტებისას კარგია მოყვანილ იქნას ვ. ი. ლენინის სიტყვები: „რუსეთში გლეხებს „ათავისუფლებდნენ“ თვით მემამულეები, თვითმპყრობელი მეფის მემამულური მთავრობა და მისი მოხელეები. და ამ „განმათავისუფლებლებმა“ ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხები „განთავისუფლდნენ“ გაძარცულ-გაღატაკებულნი, გამოვიდნენ მემამულეთა მონობიდან და იმავე მემამულეთა და მათი დამქაშების კაბალაში მოექცნენ“.[1]

საუბარში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმი ვითარდებოდა არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც, და ითქვას, რომ კულაკები ყველაზე სასტიკი, ყველაზე უხეში, ყველაზე ველური ექსპლოატატორები არიან, რომლებსაც სხვა ქვეყნებში არაერთხელ აღუდგენიათ მემამულეების, მეფეების, კაპიტალისტების ხელისუფლება.

პროპაგანდისტმა მსმენელებს უნდა განუმარტოს ცნება „კაპიტალიზმი“ და კაპიტალისტის მიერ მუშის ექსპლოატაციის ხერხები. ამისათვის იგი იყენებს სასწავლო სახელმძღვანელოს მასალებს და მათ უმატებს მაგალითებს კაპიტალისტური სახელმწიფოების თანამედროვე ცხოვრებიდან.

მაგალითად, ახასიათებს რა კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების ძირითად ნიშანს — წარმოების იარაღებისა და საშუალებების კერძო საკუთრებას, პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის ნამდვილი ბატონპატრონებია მილიარდერთა და მილიონერთა „60 ოჯახი“, რომლებიც ქვეყნის სიმდიდრეთა მეტ ნაწილს ფლობენ და რომლებსაც ხელში უპყრიათ მთავრობა და სახელმწიფო აპარატი.

ეკონომიური კრიზისების ბუნების განმარტებისას საჭიროა გამოყენებულ იქნას ჟურნალ-გაზეთების ცნობები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მრეწველობის მშვიდობიან დარგებში წარმოების დაცემის შესახებ, მშრომელთა გაღატაკების შესახებ. როცა ლაპარაკობს მოგებაზე, რასაც რუსი კაპიტალისტები მუშების ექსპლოატაციით იღებდნენ, პროპაგანდისტს შეუძლია მიუთითოს იმ უდიდეს მოგებაზე, რასაც ამერიკელი მილიარდერები იღებენ. მაგალითად, ომისშემდგომი ხუთი წლის (1946-1950) განმავლობაში ამერიკული მონოპოლიების მოგებამ შეადგინა 158 მილიარდი დოლარი, რაც თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება მათ მიერ ომის ხუთი წლის მანძილზე მიღებულ მოგებას.

საუბარში მთავარია აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში გაცილებით უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე დასავლეთ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ხელს შეუწყობს მსმენელთა შეგნებაში იმ აზრის განმტკიცებას, რომ ბატონყმობა და თვითმპყრობელობა რუსეთის სამეურნეო განვითარების ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყვნენ.

საუბრის ძირითად დებულებათა საილუსტრაციოდ გამოყენებულ უნდა იქნას პოლიტსკოლებისათვის გაკუთვნილი თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ალბომის მასალები (ფურცლები 3-7).

ბატონყმური რეჟიმის მკაფიო მხატვრული ილუსტრაცია შეიძლება იყოს ა. ს. პუშკინის ლექსის „სოფელი“ ბოლო ნაწილი. უდიდესი ძალით არის მხილებული ბატონყმური რუსეთის წესები ნ. ვ. გოგოლის პოემაში „მკვდარი სულები“. პროპაგანდისტს შეუძლია ხმამაღლა წაიკითხოს ნაწყვეტი ამ ნაწარმოებიდან, მაგალითად, სობაკევიჩისა და ჩიჩიკოვს შორის ვაჭრობის ეპიზოდი.

შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკე ადგილები ნ. ა. ნეკრასოვის პოემიდან „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“. პროპაგანდისტი ლიტერატურულ მაგალითებს იყენებს თავისი არჩევით, ისე რომ არ გადატვირთოს მეცადინეობა.

სასურველია აგრეთვე საუბრის მსვლელობაში გავაცნოთ მსმენელებს რეპროდუქციები გამოჩენილი რუსი მხატვრების სურათებისა, რომლებშიც ასახულია გაღატაკებული, უმიწო გლეხების მძიმე ბედი. მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგალითად, ი. ე. რეპინის ცნობილი სურათი „ბურლაკები ვოლგაზე“.

**დავალება დამოუკიდებელი მუშაობისათვის.** პროპაგანდისტი მსმენელებს ურჩევს დამოუკიდებელი მუშაობის საათებში შეისწავლონ ქვეთემის — „მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში“ პირველი ნაწილი (ნაკვეთი 1, სახელმძღვანელოს 3-12 გვ.).

**კითხვები გასაუბრებისათვის.** ქვეთემის — „მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში“ პირველი ნაწილის მიხედვით გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს მაგალითად ასეთ ძირითად საკითხებზე:

1. გლეხების მდგომარეობა ბატონყმობის დროს.
2. რატომ გაუქმდა ბატონყმობა და როგორი იყო 1861 წლის რეფორმის შედეგები?
3. რა არის კაპიტალიზმი?
4. როგორ ვითარდებოდა კაპიტალიზმი რუსეთში?

გასაუბრებას რომ იწყებს, პროპაგანდისტი წინადადებას აძლევს მსურველებს გამოთქვან აზრი პირველი კითხვის შესახებ. რეფორმის წინადროინდელ რუსეთში გლეხთა მდგომარეობის გამორკვევისას მსმენელები იმ დასკვნამდე მივლენ, რომ გლეხების მძიმე მდგომარეობის ძირითადი მიზანი იყო მემამულეთა მიერ მათი სასტიკი ექსპლოატაცია.

გასაუბრებაში მსმენელებმა უნდა დაასახელონ ბატონყმობის გაუქმების ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები, აღნიშნონ, რატომ არ შეუმსუბუქა მდგომარეობა მშრომელ გლეხებს 1861 წლის რეფორმამ.

მსმენელთათვის შესათვისებლად ერთ-ერთი რთული საკითხი იქნება „რა არის კაპიტალიზმი?“. პროპაგანდისტი თავიდანვე ჰყოფს მას კერძო საკითხებად. ერთ მსმენელს იგი წინადადებას აძლევს თქვას, თუ რა განსხვავებაა მემამულესა და კაპიტალისტს შორის (მიწათმფლობელი და ფაბრიკანტი); მეორეს — განსაზღვროს კაპიტალიზმის ეკონომიური საფუძველი (წარმოების იარაღებისა და საშუალებების კერძო საკუთრება); მესამეს — განმარტოს კაპიტალისტის მიერ მუშის ექსპლოატაციის მექანიკა; მეოთხეს — ილაპარაკოს კაპიტალისტური საზოგადოების განუკურნებელ წყლულებზე და მათ წარმომშობ მიზეზებზე. ამასთან სასურველია, რომ მსმენელები თავიანთ პასუხს ასაბუთებდნენ გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამოღებული მაგალითებით, რომლებიც მოწმობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშებისა და გლეხების მდგომარეობას, აგრეთვე მხატვრული ლიტერატურიდან აღებული მაგალითებით. როცა კოლექტიურად შემუშავებულ იქნება პასუხები ყველა ცალკე საკითხზე, ერთ-ერთი მსმენელი ვრცლად ჩამოაყალიბებს პასუხს კითხვაზე „რა არის კაპიტალიზმი?“, ხოლო დანარჩენი მსმენელები, თუ საჭირო იქნება, შეიტანენ შესწორებებსა და დამატებებს.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ საუბარში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მსმენელებმა მიიღონ ნათელი წარმოდგენა მუშათა კლასის სწრაფ ზრდაზე, რუსეთში გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესზე.

* * *

**პროპაგანდისტის საუბარი.** ქვეთემის — „მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში“ მეორე ნაწილის მიხედვით საუბარი შეიძლება ჩატარდეს დაახლოებით ასეთი გეგმით:

1. მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში.
2. მშრომელთა უუფლებობა.
3. მეფის რუსეთი — ხალხთა საპყრობილე.
4. რუსეთის სამეურნეო ჩამორჩენილობა.

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ, ტ 17, გვ. 87.

# იზრდებიან მეავტომობილეთა ახალი კადრები

საავტომობილო გიგანტის მშენებლობის გაჩაღებისთანავე დაიწყო მისთვის კადრების მომზადება. ქუთაისში, წულუკიძესა და ბორჯომში შეიქმნა სპეციალური სახელოსნო სასწავლებლები. ისინი ყოველწლიურად უშვებენ ასობით სპეციალისტს. გარდა ამისა, 1949 წელს მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში კვალიფიკაციის მისაღებად გაიგზავნა 500 ქართველი ახალგაზრდა, გორკის ავტოქარხანაში — 100, ხოლო პავლოვის ავტო-საიარაღო ქარხანაში — 80.

მრავალი საგულისხმო მაგალითის მოყვანა შეიძლება იმ უდიდესი ინტერესის შესახებ, რასაც ჭაბუკები საავტომობილო საქმის დაუფლებისათვის იჩენდნენ.

სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე შალვა გვენეტაძე მოუთმენლად მოელოდა ქარხანაში სამუშაოდ მოსვლას. ეს დროც დადგა, და სწავლაში წარჩინებულმა ახალგაზრდამ წარმოებაშიც ისახელა თავი. მლარავობა საერთოდ რთული საქმეა ავტომშენებლობაში, მაგრამ ზოგ ოპერაციაში ეს განსაკუთრებით იგრძნობა. ისეთი დეტალების დალარვა, როგორიცაა მანქანის ლილვი, სარქველი და სხვა, უდიდეს სიზუსტეს და დიდ დროს მოითხოვს. მათი გამზადებისათვის რამდენიმე დღეა საჭირო, რადგან აღნიშნული დეტალები ჯერჯერობით სერიულად არ მზადდება. შ. გვენეტაძე რამდენიმე თვეში ისე საფუძვლიანად დაეუფლა ლარვის საქმეს, რომ ახლა სატვიფრო-მექანიკურ საამქროში ტოლი არა ჰყავს. იგი დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს და სხვებსაც ეხმარება კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მეხუთე თანრიგით მოვიდა ქარხანაში ხარატი რ. დოლიძე. მან საწარმოში უფრო აიმაღლა კვალიფიკაცია, მეექვსე თანრიგოსანი გახდა და მალე სტახანოველის სახელი დაიმსახურა. ორი ნორმის შესრულება დღეში მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო სექტემბერში ახალგაზრდა ხარატმა ორნახევარი ნორმა გამოიმუშავა. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობს სახელოსნო სასწავლებლიდან ქარხანაში მოსული თ. ჯლამაძე. იგი იმ ადამიანთა რიგებს ეკუთვნის, რომლებმაც დიდად გაუსწრეს დროს.

თერჯოლის რაიონის სოფელ ვარდუბნიდან ქარხანაში ერთად მოვიდნენ გერვასი ბარდაველიძე და ოთარ კლდიაშვილი. ისინი სიხარულით გაემგზავრნენ პავლოვის ჟდანოვის სახელობის ავტო-საიარაღო ქარხანაში სპეციალობის მისაღებად და იქიდან მიზანმიღწეული დაბრუნდნენ. გერვასიმ სამჭედლო საქმე შეისწავლა, ხოლო ოთარმა სატვიფრო. გერვასი მანქანის ღერძების გამოჭედვაზე მუშაობს და დავალებებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მუშაობაში ზუსტად იცავს გრაფიკს. ამასთანავე შრომისმოყვარე ახალგაზრდა ბეჯითად სწავლობს ავტოტექნიკუმის პირველ კურსზე. ოთარ კლდიაშვილი სატვიფრო-საარმატურე საამქროში პირველი გამოეხმაურა ნინო ნაზაროვას პატრიოტულ თაოსნობას მოწყობილობის სანიმუშოდ შენახვისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ოთხი სატვიფრო დაზგა, რომლებზეც იგი მიმაგრებულია, საუკეთესოდ არის მოვლილი. ოთარიც წარმატებით სწავლობს ავტოტექნიკუმში.

სახელოსნო სასწავლებლებსა და ჩვენი ქვეყნის მოქმედ ავტოქარხნებს გარდა, კადრების მოსამზადებლად სერიოზული მუშაობა წარმოებდა თვით საწარმოში. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო კადრების ადგილობრივად მომზადებამ მას შემდეგ, რაც საექსპლოატაციოდ გადაეცა ქარხნის ცალკეული საამქროები. იმ მუშათა საერთო რაოდენობიდან, რომლებიც ახლა ქარხანაში მუშაობენ, ნახევარზე მეტი ადგილობრივ მომზადდა.

ქარხნის ცნობილი სტახანოველი, მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატი სერგო ჯიქია ქარხანაში აღიზარდა და წარჩინებული სტახანოველი გახდა.

ამავე საამქროში არანაკლები ავტორიტეტით სარგებლობს მოშანდაკე დავით კაპანაძე. საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე მისი გამოსვლა უშუალოდ დაკავშირებულია საავტომობილო ქარხანასთან. ზესტაფონელმა ჭაბუკმა აქ შეისწავლა საავტომობილო საქმე, მოკლე ხანში დაიმსახურა სტახანოველის სახელი და ხალხის რჩეულიც გახდა. როგორც შრომისმოყვარე ახალგაზრდა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, დავითი არჩეულია ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. იგი მუშაობს რთულ დანადგარზე და საუკეთესოდ ფლობს მას.

წარმოების საამაყო ადამიანია ქუთაისის მკვიდრი მიხეილ შალამბერიძე, რომელიც ავტომშენებლობის მე-7 თანრიგის ამწყობია.

ქარხნის დირექცია და ადგილობრივი ორგანიზაციები არანაკლებ ყურადღებას იჩენენ წარმოების საშუალო და უმცროსი მეთაურების აღზრდისადმი. ასზე მეტი ინჟინერ-ტექნიკოსი მივლინებული იყო მოსკოვსა და გორკიში, ათობით ოსტატი ადგილობრივ გადიოდა სპეციალურ სემინარულ მეცადინეობას. ყოველივე ამის შედეგია, რომ ქარხნის საამქროები ახლა უზრუნველყოფილი არიან ადგილობრივი მაღალკვალიფიციური კადრებით. ახალგაზრდა სპეციალისტები ქარხნის სული და გული არიან. ია ნაცვლიშვილი, კლარა ბერიძე, რეზო თოთიბაძე, ვახტანგ ხარებავა და მრავალი სხვა ახალგაზრდა ინჟინერი წარმოებაში სიახლისა და პროგრესის საქმის ინიციატორები არიან, ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა ყველა პატრიოტულ წამოწყებას.

ნორმალის საამქროს ინჟინერი კორნელი კორინთელი პირველი გამოეხმაურა „ზის“-ის ინჟინერ პუშკინის თაოსნობას დასამზადებელი დეტალების დასახაზი დროის შემცირების შესახებ. იგი თავის სიტყვას საქმით ამართლებს და ნახაზებს სისტემატურად რამდენიმე დღით ადრე ადგენს.

რაციონალიზატორთა შორის ერთ-ერთი მოწინავეა ინჟინერი ვასილ რევაზიშვილი. მან ავტომანქანის მაცივრის დამზადება, რაც ხელით სრულდებოდა, ტვიფრით შეცვალა და წარმოებას 50 ათასი მანეთის ეკონომია მისცა.

მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შემოქმედებითი აქტივობის შედეგია, რომ ბევრი მათგანი ქარხნის დირექციის მიერ დაწინაურებულია ხელმძღვანელ სამუშაოებზე. ოთარ ბოჭორიძე დაწინაურებულია სატვიფრო-მექანიკური საამქროს უფროსად; თამარ ბებია ტექნოლოგიური განყოფილების უფროს კონსტრუქტორად მუშაობს; ირინა დვალიშვილი და მამია ჩიჩელაშვილი უბნის უფროსები არიან.

კადრების აღზრდისა და დაოსტატებისათვის ქარხანაში ერთი წუთითაც არ წყდება მუშაობა. ამჟამად ქართული ავტომანქანის მშენებელთა გამოწრთობისათვის მრავალფეროვანი მუშაობაა გაჩაღებული. ტექნიკური მინიმუმის შემსწავლელთა წრეებში მეცადინეობს 200 ახალგაზრდა, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე — 167, სტახანოვურ სკოლებში — 140 ახალგაზრდა. ასობით ინჟინერ-ტექნიკოსი სპეციალურ სემინარებში იმაღლებს კვალიფიკაციას, ხოლო 300-მდე ახალგაზრდა სპეციალისტი საღამოს საათებში სწავლობს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში და ავტომექანიკურ ტექნიკუმში.

კადრების აღზრდისათვის ტექნიკური სწავლების მრავალი საშუალებაა გამოყენებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციკლობრივი ლექციები. ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ დოცენტმა ვ. ბენიძემ წაიკითხა ლექციები ეკონომიკის ცალკეულ საკითხებზე — თვითღირებულების ელემენტები, რენტაბელობა და სხვ. ქარხნის მუშაკების დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ ფ. თავაძის ლექციამ — „მოდერნიზებული თუჯი და მისი გამოყენება მანქანათმშენებლობაში“.

ტექნიკური პროპაგანდისა და საერთოდ კადრების მომზადების საქმეში ქარხანაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც არის. მთელ რიგ საამქროებში (სიჩქარის, ძრავების, სამსხმელო და სხვ.) ტექნიკური სწავლების წრეებისათვის გამოყოფილი არ არის ოთახები. მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის კადრების განყოფილებამ დირექციის წინაშე მრავალჯერ დასვა საკითხი ტექნიკური პროპაგანდის კაბინეტის შესაქმნელად, ჯერჯერობით შედეგი არა ჩანს. მართალია, პირველ ხანებში საკმაო რაოდენობით იგზავნებოდნენ მოსკოვისა და სხვა საავტომობილო ქარხნებში ახლადმოსულნი, მაგრამ ამჟამად აქ საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალი მნიშვნელოვანი საშუალებაა ადგილობრივი კადრების უმაღლესი განათლებით შეიარაღებისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ თბილისელი ლექტორები არარეგულარულად ჩამოდიან, ირღვევა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა. როგორც შარშანდელი მაგალითი გვიჩვენებს, ისინი ქუთაისში მოდიან უმთავრესად სასწავლო წლის ბოლოს და მაშინ ცდილობენ გათვალისწინებული გეგმების ამოწურვას მოკლე დროში, რაც ხელს უშლის ნორმალურ სწავლებას.

საჭიროა ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ გამოსწორდეს, რათა ქარხანამ შეძლოს მის წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანების შესრულება.

**გ. მეფისაშვილი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## მოწინავე მეცხენეებს პრემიები მიეცათ

**სტალინირი.** (საკ. კორ.). მოეწყო გაუმჯობესებული ჯიშის ცხენების საოლქო გამოფენა, რომლის მიზანი იყო კოლმეურნეობათა საუკეთესო მეცხენეების გამოცდილების პოპულარიზაცია. მეცხენეობის საქმეში დაწინაურებულმა კოლმეურნეობებმა გამოფენაზე წარმოადგინეს სხვადასხვა ჯიშის 87 ცხენი.

საერთო ყურადღება მიიქცია ჯავის რაიონის სოფელ ბრითათის კოლმეურნეობის მიერ წარმოდგენილმა ულაყმა „გრანიტმა“ (გაუმჯობესებული ყაბარდოული ჯიში).

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე სტალინირის რაიონის სოფელ არცევის კოლმეურნეობის, სოფელ ხეთაგუროვის და სხვა კოლმეურნეობათა მიერ წარმოდგენილმა საუკეთესო ჯიშის ცხენებმა.

საგამოფენო კომიტეტმა მეცხენეობის განვითარების საქმეში წარმატებით მუშაობისათვის 1.000 მანეთით დააჯილდოვა სოფელ ბრითათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. სლანოვი. პრემიები მიეცათ აგრეთვე ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. გაბარაევს, სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგეს დ. მამიევს. სულ გაცემულია 12 პრემია.

## 400 ლიტრი რძე გეგმის გადამეტებით

**თბილისის გარეუბნის რაიონი.** (სპეც. კორ.). საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესასრულებლად ნაყოფიერად მუშაობენ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. 89 ძროხისაგან თვითეულზე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.500 ლიტრისა 8 თვეში მიიღეს 1.914 ლიტრი რძე.

მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ ფერმის ცალკეულ მუშაკებს. დაწინაურდა მეძროხეობის ფერმის მწველავი ბაბუცა თურმანიძე, რომელიც ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს ძროხების წველადობის გეგმას. იგი 12 სულ ძროხას უვლის. გეგმით მან თვითეულისაგან წლის ბოლომდე ორი ათასი ლიტრი რძე უნდა მიიღოს, ფაქტიურად უკვე მიიღო 3.050 ლიტრი. ამხ. თურმანიძემ პირობა დადო წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ყოველ ძროხას მოწველოს 700 ლიტრი რძე.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად ნაყოფიერად მუშაობს სოფიო ცინცაძეც. მან მოსავლელად მიჩენილი 12 ძროხისაგან თვითეულზე 8 თვეში მიიღო 2.720 ლიტრი რძე და დამატებით კიდევ 500 ლიტრი რძის მიღებისათვის იბრძვის.

კოლმეურნეობის წევრები მუშაობენ იმისათვის, რომ 89 ძროხისაგან თვითეულზე წლიური გეგმის გადამეტებით მიიღონ 400 ლიტრი რძე.

# ცილისწამება

— ნუ ღელავთ, ამ ბიჭუნას მაინც ნუ ასმენინებთ ყველაფერს.

— ახლა ამ ბიჭუნასაც ვტოვებ და მივდივარ.

— ვის უტოვებთ ვალოდიას?

— მაგას ჰყავს მომვლელი. ჩემი წასვლა აუცილებელია.

— რატომ?

— მე უნდა განვერიდო გიჟს, თორემ ლამის მეც გიჟად გამომაცხადონ.

— გთხოვთ დაწყნარდეთ და გვიამბოთ ყველაფერი.

— ბოდიში, მატარებელზე მეჩქარება. ეს საბუთები და მასალები ყველაფერს გეტყვით. ჩვენი ექსპედიცია დღეს მიდის და მეც სიხარულით მივყვები მას. ექვსი თვით მაინც მოვისვენებ.

აღელვებულ ნატალია ჯალალოვამ რედაქციაში დატოვა მასალების დასტა, ხელი ჩასჭიდა ფორმით გამოწყობილ თავის ბიჭუნას და თან წაიყვანა.

ინჟინერი ნატალია ჯალალოვა მიდიოდა ექსპედიციაში, რომელიც საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოს გაუგზავნია ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი კუთხის რელიეფის შესასწავლად.

როცა კარს მიუახლოვდა, აღელვებულმა მოგვაძახა:

— არ გეგონოთ სამასი მანეთის გადახდას გავურბოდე, სამი ათასსაც გადავიხდი, მაგრამ ამ დამცირებას ველარ ვუძლებ.

ჩვენც შევუდექით საქმის გარკვევას.

სხვადასხვა მიზეზებს, რაც ადამიანის ნერვულ სისტემაში მძაფრ მოშლილობას იწვევს, ჩვენი გენიოსი ფიზიოლოგის პავლოვის მოწაფეები და მისი მემკვიდრეობის შემსწავლელები ირკვევენ. და ეს საკითხი მათთვის მიგვინდვია.

მაგრამ მიზეზი, რამაც ასე აუშალა ნერვები საბჭოთა ინჟინერ ქალს ჯალალოვას, უსათუოდ ყურადღების ღირსია და ჩვენც ამიტომ გამოგვაქვს პრესაში.

ერთი ქალი, დავარქვათ მას „იქსი“, დაავადმყოფებული შიზოფრენიით, იკლებდა მეზობლებს ყოვლად უხამსი გამოსვლებით. „იქსს“ ჰყავდა ქმარი, დავარქვათ მას „იგრეკი“. თუ სად მდებარეობს სახლი, სადაც სულით ავადმყოფი ცხოვრობდა და ცხოვრობს, ესეც არ არის საინტერესო.

„იგრეკმა“ ანუ ქმარმა თავს უშველა დაავადებულ ცოლთან ოფიციალურად გაყრით. ნათესავებმა და ახლობლებმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს.

მეზობლები — ზემოთდასახელებული ინჟინერი ჯალალოვა და ბარბარე ლეონტიევა — ვერ ურიგდებიან ავადმყოფის ასე უპატრონოდ მიტოვებას და სათანადო ორგანოში შეაქვთ განცხადება, სადაც „იგრეკს“ ანუ ქმარს უჩივიან სულით ავადმყოფის უპირისუფლოდ დატოვებას.

როცა საქმე სასამართლოს გადაეცა, „იგრეკი“ ანუ ქმარი წერს ასეთ განცხადებას:

„მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო მოსამართლეს.

თქვენ მიერ გამოძახებული ვარ ჩემი ყოფილი მეუღლის საქმეზე. მოგახსენებთ, რომ მე გაცილებული ვარ მასთან 1938 წლიდან და ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოვიხსენი თავიდან“.

სასამართლომაც მას მოხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

საქმეს არჩევს თბილისის მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო ამხ. კილასონიას თავმჯდომარეობით.

და როგორ ფიქრობთ, რა განაჩენი გამოაქვს? სულით ავადმყოფს უსჯის ორი თვით იძულებითს მუშაობას, ხოლო მეზობლებს, რომლებმაც საკითხი დააყენეს უპატრონოდ მიტოვებული ავადმყოფის პატრონობის შესახებ — უსჯის ჯარიმას სამას-სამასი მანეთის რაოდენობით.

მოსამართლეს მეზობლები, მათ შორის ინჟინერი ჯალალოვა, გამოჰყავს ცილისმწამებლებად, გიჟი კი ჭკუათმყოფლად.

ეს საქმე კასაციის წესით შევიდა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში.

საქმე განიხილა უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. ლ. კალმახელიძის თავმჯდომარეობით. მომხსენებელი იყო კოლეგიის წევრი ამხ. მ. ჭარხალაშვილი. კოლეგიამ დაადასტურა ეს კურიოზული განაჩენი.

ახლა ამ საქმეს მოვლილი აქვს ყველა ინსტანცია.

გიჟი გამოცხადებულია ჭკვიანად და ჭკვიანები ჭკუას კარგავენ ამ სამარცხვინო განაჩენის გამო.

შეუცდომელი არავინ არის. მოსამართლეც შეიძლება შეცდეს, ვერ გაერკვეს რთულ ბუხჰალტერულ საბუთებში, შეიძლება მოსამართლეს მხედველობიდან გამორჩეს რაიმე დეტალი და საქმე სათანადოდ ვერ წარმართოს. ყველაფერი ეს მოსალოდნელია.

მაგრამ განა შეიძლება მოსამართლემ სულით ავადმყოფი ვერ გამოიცნოს თუნდაც სასამართლო პროცესზე?

ან განა ამხ. ჭარხალაშვილს არ შეეძლო ხელში აეღო ტელეფონი და დაკავშირებოდა ფსიქიატრებს, რომლებიც სათითაოდ იცნობენ „იქსს“ როგორც სულით ავადმყოფს? ან ძნელი იყო იმის გაგება, რომ „იქსს“ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებაც არ ჰქონდა?

ახლა რა გამოვიდა? მოსამართლემ ცილისმწამებლად გამოაცხადა სხვები და თვითონ აღმოჩნდა ცილისმწამებელი.

სულით ავადმყოფის დასჯა — ეს ხომ ერთი დანაშაულია, უდანაშაულო ადამიანთა დასჯა — მეორე.

აი სანამდე მიგვყავართ ზოგიერთი მოსამართლის უპასუხისმგებლობას ადამიანების ბედის გადაწყვეტისას.

ახლა რა გამოასწორებს საქმეს? აღმასრულებელი ფურცელი გაგზავნილია. ხომ არ შეიძლება ეს 300 მანეთი ჯარიმა გადახდეს თვით მოსამართლეს, რაკი ანგარიში გახსნილია?

**გერმან შუბიძე**

5. მეფის რუსეთის დამოკიდებულება უცხოეთის კაპიტალზე.

პროპაგანდისტი მსმენელებს აუწერს მეფის რუსეთში მუშებისა და გლეხების პოლიტიკური უუფლებობის, არარუს ეროვნებათა უსასტიკესი ჩაგვრის სურათს. ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საუბარში თვითმპყრობელი ხელისუფლების ორგანოების მკაფიოდ გამოსახული კლასობრივი ხასიათის ჩვენებას. სახელმძღვანელოში მოცემულია ფაქტები და მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა საშინელ და ვერაგულ მეთოდებს იყენებდა ცარიზმი, რათა მუშები და გლეხები დაემორჩილებინა მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის. ეს ფაქტები უნდა შეივსოს მაგალითებით ბურჟუაზიულ მთავრობათა თანამედროვე პრაქტიკიდან. პრინციპი „გათიშე და იბატონე“, რომელსაც თვითმპყრობელობა იყენებდა არარუს ეროვნებათა მიმართ, შეიძლება განმარტებულ იქნას თანამედროვე ინდოეთის მაგალითით, სადაც ინგლისელი იმპერიალისტები აღვივებენ შუღლს ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის და აწყობენ ხოცვა-ჟლეტას, ან ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითით, სადაც მთავრობა ზანგების წინააღმდეგ რაზმავს თეთრებს, რათა მშრომელთა ყურადღება ჩამოაშოროს კლასობრივ ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

პროპაგანდისტი კონკრეტული ისტორიული ფაქტებით უჩვენებს მსმენელებს, რომ მეფის რუსეთი თანდათანობით, მაგრამ განუხრელად ხდებოდა დამოკიდებული ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტებისაგან და რომ ჩვენი სამშობლოს ამ ეროვნული უბედურების პირდაპირი მიზეზი იყვნენ მემამულეები და კაპიტალისტები.

საუბარში გამოყენებულ უნდა იქნას მასალები პოლიტსკოლებისათვის განკუთვნილი თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ალბომიდან. ამ სახელმძღვანელოებში ასახულია მშრომელთა მძიმე მდგომარეობა, ეროვნული ჩაგვრა, მეფის რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა, მისი დამოკიდებულება უცხოელ კაპიტალისტებზე.

მეფის რუსეთში მუშათა კლასის მდგომარეობაზე საუბრის შემდეგ შეიძლება მსმენელებს ვურჩიოთ ნახონ კინოსურათი „დონეცის მეშახტეები“, სადაც პირველ კადრებში ნაჩვენებია მეშახტეების ცხოვრება ძველ დროში.

**დავალება დამოუკიდებელი მუშაობისათვის.** პროპაგანდისტი მსმენელებს ურჩევს შეისწავლონ ქვეთემის — „მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში“ მეორე ნაწილი (სახელმძღვანელოს 12-18 გვ.).

**კითხვები გასაუბრებისათვის.** ქვეთემის — „მუშებისა და გლეხების მდგომარეობა მეფის რუსეთში“ მეორე ნაწილის მიხედვით გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს დაახლოებით ასეთი გეგმით:

1. როგორ ჩაგრავდა ცარიზმი რუსეთის ხალხებს?

2. რა მიზნით აღვივებდნენ კაპიტალისტები და მემამულეები ეროვნულ შუღლს?

3. რა იყო მეფის რუსეთის სამეურნეო ჩამორჩენილობისა და უცხოეთის კაპიტალზე მისი დამოკიდებულების მიზეზები?

გასაუბრების შედეგად მსმენელებმა მკაფიოდ უნდა წარმოიდგინონ შრომის რა პირობები არსებობდა მუშებისათვის მეფის რუსეთში, არსი ცარიზმის ვერაგული პოლიტიკისა, რომელიც გამოხატულია სიტყვებით: „გათიშე და იბატონე“.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილობის, უცხოეთის კაპიტალზე მისი დამოკიდებულების მიზეზების საკითხზე პასუხის გაცემისას მსმენელებმა უნდა ცხადყონ, რომ ეს იყო ცარიზმის პოლიტიკის, მემამულეებისა და კაპიტალისტების პოლიტიკის შედეგი.

* * *

ქვეთემას „მუშებისა და გლეხების ბრძოლა მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ“ უნდა მიეძღვნას ორი მეცადინეობა. პირველ მეცადინეობაზე მსმენელები ეცნობიან მარქსისტული თეორიის ძირითად დებულებებს იმ ბრძოლის შესახებ, რასაც პროლეტარიატი ეწევა თავისი განთავისუფლებისათვის. მეორე მეცადინეობაზე მსმენელები სწავლობენ რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს: პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი; მუშათა კლასის მარქსისტული რევოლუციური პარტიის — ბოლშევიკების პარტიის შექმნა; რუსეთის პირველი რევოლუცია.

**პროპაგანდისტის საუბარი.** ქვეთემის „მუშებისა და გლეხების ბრძოლა მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ“ პირველი ნაწილის მიხედვით საუბარი შეიძლება ჩატარდეს დაახლოებით შემდეგი გეგმით:

1. კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

2. მარქსიზმი — პროლეტარიატის რევოლუციური მოძღვრება.

3. რევოლუციური მოძრაობის პირველი ნაბიჯები რუსეთში. რუსეთის მუშათა კლასი ყველაზე რევოლუციური მუშათა კლასია მსოფლიოში.

ამ ქვეთემის მიხედვით მეცადინეობისათვის მომზადების დროს პროპაგანდისტმა უნდა შეისწავლოს შემდეგი ნაწარმოებები: კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, ვ. ი. ლენინის სტატია „ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი“ (თხზ. ტ. 16), „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 12-30.

პროპაგანდისტის ამოცანაა მსმენელებს განუმარტოს კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებელი ხასიათი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უამბოს მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ძირითად დებულებებზე, გაამუქოს მისი უდიდესი მნიშვნელობა მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის წარმატებისათვის, რუსეთში კლასობრივი ბრძოლის მაგალითით აჩვენოს მუშათა კლასის წამყვანი როლი ექსპლოატატორთა მიერ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის მშრომელთა ბრძოლაში.

კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი ნიშნები მსმენელებმა წინა მეცადინეობაზე შეისწავლეს. ამ საუბარში პროპაგანდისტმა მსმენელებს უნდა აჩვენოს ერთი მხრივ მუშებსა და გლეხებს და მეორე მხრივ კაპიტალისტებსა და მემამულეებს შორის კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებელი ხასიათი. ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა შორის წინააღმდეგობის წყაროს წარმოადგენს მათი დამოკიდებულება წარმოების იარაღებისა და საშუალებებისადმი: ექსპლოატატორები არიან ადამიანები, რომლებიც ფლობენ წარმოების საშუალებებს, ექსპლოატირებულები არიან ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ წარმოების საშუალებანი. მათი ინტერესები ერთმანეთის საწინააღმდეგო და შეურიგებელია: მშრომელები ცდილობენ განთავისუფლდნენ ჩაგვრისაგან, მჩაგვრელები კი ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი ბატონობა და კიდევ უფრო გააძლიერონ მშრომელთა ექსპლოატაცია.

მშრომელთა მასებსა და მათს მჩაგვრელებს შორის განუწყვეტელი და შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის საკითხი ილუსტრირებულ უნდა იქნას ერთი-ორი მაგალითით, რომლებიც მსმენელებისათვის ცნობილია პირველი მეცადინეობიდან: გლეხთა აჯანყებები და მათი სასტიკი ჩახშობა, გაფიცვები და მუშათა სხვა რევოლუციური გამოსვლები მეფის რუსეთში. ამასთან მსმენელებს უნდა განემარტოთ, რატომ იყო, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩაგრულთა ბრძოლამ განთავისუფლება ვერ მოუტანა მშრომელებს. მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ ფორმას ცვლიდა ექსპლოატაციის მეორე ფორმა, მაგრამ თვით ექსპლოატაცია რჩებოდა.

აქ პროპაგანდისტი მსმენელებს მოკლედ მოუთხრობს მუშათა კლასის დიდ მასწავლებლებზე კარლ მარქსსა და ფრიდრიხ ენგელსზე, რომლებმაც პირველებმა დაასაბუთეს მუშათა კლასის ისტორიული როლი კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ეს იქნება გადასვლა მარქსისტული მოძღვრების ძირითად დებულებათა მოკლედ გადაცემაზე.

მსმენელებისათვის მარქსისტული რევოლუციური თეორიის არსის გაცნობის დროს უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ამ თეორიის მეცნიერულობა. მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს საზოგადოების განვითარების კანონები და მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ კაპიტალისტური წყობილება უნდა შეიცვალოს და კიდევაც შეიცვლება ახალი საზოგადოებრივი წყობილებით — სოციალიზმით — და რომ ამ ისტორიულ ამოცანას პროლეტარიატი შეასრულებს. პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს მარქსიზმის ძირითად დებულებას — ბურჟუაზიის ბატონობის რევოლუციური დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აუცილებლობის შესახებ.

თავიანთი განთავისუფლებისათვის მშრომელთა ბრძოლაში მუშათა კლასის წამყვანი როლის შესახებ მარქსისტული დებულების განმარტებისას უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა კლასი ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასია, რომელიც დაკავშირებული არ არის წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებასთან, სწრაფად იზრდება და რომლის დარაზმვაც ადვილია.

რუსეთში მუშათა კლასის ბრძოლის ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ სავსებით სწორია მარქსისა და ენგელსის იდეები მუშათა კლასის, როგორც თავისი განთავისუფლებისათვის ყველა მშრომელის ბრძოლის ხელმძღვანელის, პროგრესის მატარებლის, ახალი, სოციალისტური საზოგადოების შემქმნელის, ისტორიული როლის შესახებ. პროპაგანდისტი მსმენელთა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ რუსეთის მუშათა კლასმა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების დიდ განმგრძობთა — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განახორციელა მარქსისა და ენგელსის იდეები მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნის შესახებ, პროლეტარული რევოლუციის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ.

მარქსმა და ენგელსმა თავიანთი მოძღვრება ჩამოაყალიბეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

ლენინი წერდა: „ეს პატარა წიგნაკი მთელ ტომებად ღირს: მისი სულით დღემდე ცოცხლობს და მოძრაობს ცივილიზებული სამყაროს მთელი ორგანიზებული და მებრძოლი პროლეტარიატი.

„მარქსიზმის ქებათა-ქება“, — ამხანაგ სტალინის ამ სიტყვებით გამოხატულია „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ უკვდავი იდეების ღრმა შეფასება, ხაზგასმულია მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

1890 წელს სამარაში ახალგაზრდა ლენინმა რუსულ ენაზე თარგმნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. 1896-1898 წლებში ამხანაგი სტალინი მარქსისტულ წრეებში განმარტავდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ძირითად დებულებებს. მისი ერთ-ერთი არალეგალური გამოცემა დაიბეჭდა ბაქოში, არალეგალურ პარტიულ სტამბაში, რომელიც 1901 წლის დასაწყისში ამხანაგ სტალინის მითითებით შეიქმნა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე გამოშვებულია „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 281 გამოცემა, რომელთა საერთო ტირაჟი 8 მილიონ ეგზემპლარს აღემატება.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საუბარში მსმენელთა ყურადღება მივაქციოთ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ყველა ქვეყნის მუშათა გაერთიანების იდეას, რაც გამოხატულია „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სიტყვებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ამ დიადმა იდეამ ყოველმხრივი განვითარება ჰპოვა მშრომელთა გენიალური ბელადებისა და მასწავლებლების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თეორიულ შრომებსა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში. პროპაგანდისტი განმარტავს, რომ ჩვენს დროში პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის წარმატებითი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი დროშა სხვადასხვა ქვეყნებისა და ეროვნების ასეულ მილიონობით მშრომელებს აერთიანებს მშვიდობისა და დემოკრატიის ერთიან უძლეველ ბანაკად, რომლის სათავეში დგას საბჭოთა კავშირი.

საუბრის დროს პროპაგანდისტს გამოჰყავს დასკვნა მარქსისტული მოძღვრების უძლეველობის შესახებ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო თემაზე

# ეტლისა და ჩერჩილის წინასაარჩევნო უსიამოვნებანი

რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ეგვიპტის დეპუტატთა პალატამ ერთსულოვნად მოიწონა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების და სუდანის მიმართ კონდომინიუმის შესახებ 1899 წლის კონვენციის დენონსაცია.

ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულება დადებულ იქნა ლონდონში. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ინგლისის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა, ეგვიპტის მხრიდან პრემიერ-მინისტრმა ნახას-ფაშამ.

ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულება ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის კრიზისის მაუწყებელი იყო, რამდენადაც კოლონიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეგავლენით ინგლისი იძულებული გახდა ფორმალურად მაინც ეცნო ეგვიპტის „სუვერენიტეტი" და მასთან „კავშირი" დაემყარებინა.

როგორც ცნობილია, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში განსაკუთრებით ფართო და მძლავრი ხასიათი მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

„...ოქტომბრის რევოლუციამ, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — **დასაბამი მისცა ახალ ეპოქას, კოლონიური** რევოლუციების ეპოქას..." „ოქტომბრის რევოლუციამ შეარყია იმპერიალიზმი არა მარტო მისი ბატონობის ცენტრებში, არა მარტო „მეტროპოლიებში". მან ლახვარი ჩასცა აგრეთვე იმპერიალიზმის ზურგს, მის პერიფერიებს, ძირი გამოუთხარა იმპერიალიზმის ბატონობას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში".

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ალი მოედო ბრიტანეთის იმპერიასაც. ინგლისელმა იმპერიალისტებმა დაინახეს, რომ კოლონიური მმართველობის ძველი, ტრადიციული ხერხები უვარგისი გახდა და საჭირო იყო ახალი, „დემოკრატიული" ფორმების ძებნა. ისინი დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელი იყო პროტექტორატის შენარჩუნება ეგვიპტეზე, ამიტომაც გადაწყვიტეს გაეუქმებინათ პროტექტორატი და ახალი ხელშეკრულების ძალით ეგვიპტისათვის მიეცათ „დამოუკიდებლობა" და „ეროვნული" მთავრობის შექმნის შესაძლებლობა. ასეთი ამოცანა დაისახა 1920 წელს ინგლისის დიპლომატიამ. ამ ამოცანის განსახორციელებლად ინგლისის პოლიტიკოსებმა 1920 წლიდან 1936 წლამდე ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების რამდენიმე პროექტი (მილნერის—1920 წ., კერზონის—1921 წ., ჩემბერლენის — 1927 წ., ჰენდერსონის — 1929 წ.) შეიმუშავეს. ყველა ეს პროექტი მხოლოდ ფორმალურად ცნობდა ეგვიპტის სუვერენიტეტს. ფაქტიურად ეგვიპტე ინგლისის კოლონიად რჩებოდა. არც ერთი ამ პროექტთაგანი არ მიუღია ეგვიპტეს.

ინგლისელმა კოლონიზატორებმა თავიანთ მიზანს მხოლოდ 1936 წელს მიაღწიეს. მათ ისარგებლეს საერთაშორისო ვითარების დაძაბულობით მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში და ეგვიპტის ბურჟუაზიასთან შეთანხმებით ეგვიპტელ ხალხს თავზე მოახვიეს არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება.

ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულება სინამდვილეში წარმოადგენდა მილნერის, კერზონის, ჩემბერლენის და ჰენდერსონის პროექტთა უმნიშვნელო სახეცვლილებას. ამ ხელშეკრულებაში ლაპარაკი იყო ურთიერთდახმარებაზე „ომის საშიშროებისა და განსაკუთრებული საერთაშორისო მდგომარეობის შემთხვევაში". ეგვიპტე ვალდებული ხდებოდა გადაეცა ინგლისის განკარგულებაში ნავსადგურები, აეროდრომები, კავშირგაბმულობის საშუალებანი... ინგლისის საჰაერო ძალებს უფლება ჰქონდათ თავისუფლად ეფრინათ ეგვიპტის ტერიტორიაზე და გამოეყენებინათ ეგვიპტის აეროდრომები. ეგვიპტის არმიის სწავლებისათვის მოწვეული იყო ინგლისის სამხედრო მისია, ეგვიპტელ ოფიცრებს მხოლოდ ინგლისში შეეძლოთ მიეღოთ სამხედრო განათლება, ეგვიპტის არმიის შეიარაღება არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული ინგლისის არმიის შეიარაღებისაგან... ხელშეკრულების ძალით ფორმალურად წყდებოდა ეგვიპტის ოკუპაცია ინგლისის ჯარების მიერ, მაგრამ ინგლისის ქვეითი ჯარის ნაწილები (10 ათასი კაცი) და საჰაერო ძალები (400 მფრინავი) რჩებოდნენ სუეცის არხის ზონაში მანამდე, სანამ ეგვიპტის არმია შეძლებდა საკუთარი ძალებით უზრუნველეყო არხის უშიშროება. გარდა ამისა, ინგლისის ჯარის ნაწილები რჩებოდნენ ალექსანდრიაში 8 წლის ვადით და კაიროში არხის ზონაში ახალი ყაზარმების აშენებამდე და სხვ. ასე იყო განსაზღვრული ეგვიპტის „სუვერენიტეტი" და „დამოუკიდებლობა" 1936 წლის ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულების დადებასთან ერთად აღდგენილ იქნა 1924 წელს ფორმალურად გაუქმებული 1899 წლის კონვენცია სუდანის მიმართ კონდომინიუმის შესახებ. ამ კონვენციის ძალით უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლება აღმოსავლეთ სუდანში ეკუთვნოდა გენერალ-გუბერნატორს, რომელიც ინგლისის მთავრობის რეკომენდაციით ინიშნებოდა. გენერალ-გუბერნატორის პოსტი ყოველთვის ინგლისელს ეკავა.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად უფრო გამწვავდა კოლონიური სისტემის კრიზისი, რაც გამოიხატა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობით კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში; ეგვიპტეში, მაგალითად, გაიშალა ფართო მოძრაობა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების გაუქმებისათვის და ინგლისის ჯარების ეგვიპტიდან გაყვანისათვის. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ ეგვიპტის მთავრობა აიძულა პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა ამ მიმართულებით. 1945 წლის 20 დეკემბერს ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ნუქრაში ფაშამ ინგლისის მთავრობას სთხოვა გადაესინჯა 1936 წლის ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი. ინგლისის მთავრობამ ეს „შესაძლებლად" მიიჩნია და კაიროში 1946 წლის აპრილიდან სექტემბრამდე მიმდინარეობდა მოლაპარაკება ეგვიპტისა და ინგლისის დელეგაციებს შორის. ინგლისის დელეგაციის მიერ წამოყენებული „კომპრომისი" ფაქტიურად არ ცვლიდა არსებულ მდგომარეობას და ეგვიპტის დელეგაციამ უარი განაცხადა მიეღო ინგლისის დელეგაციის ეს „შესწორებები". მიუხედავად ამისა, დელეგაციის მეთაურმა პრემიერ-მინისტრმა სიდკი-ფაშამ ოქტომბერში ბევინთან ერთად მოაწერა ხელი სათანადო „შეთანხმებას". სიდკი-ფაშის ამ ღალატმა ეგვიპტელი ხალხის აღშფოთება გამოიწვია. სიდკი-ფაშა იძულებული გახდა გადამდგარიყო. მოლაპარაკება, რომელიც კაიროში 1947 წელს მიმდინარეობდა ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ ნუქრაში-ფაშასა და ინგლისის ელჩ კემპბელს შორის ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით, უშედეგოდ დამთავრდა.

ეგვიპტის პალატის გადაწყვეტილება ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ ბრიტანეთის იმპერიის ღრმა კრიზისის მაჩვენებელია. იგი, ნაწილობრივ, შედეგია ეგვიპტეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისა. ეგვიპტელი ხალხის მოძრაობამ ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო უკანასკნელ ხანებში. ხალხი დაჟინებით მოითხოვდა ინგლისის ჯარების გაყვანას ეგვიპტიდან და ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების გაუქმებას. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ამერიკელი იმპერიალისტები სარგებლობენ იმ სიძნელეებით, რომლებსაც ინგლისელი კოლონიზატორები ხვდებიან აღმოსავლეთ ქვეყნებში. ამერიკელები ცდილობენ თავიანთი ინგლისელი მოკავშირეების პოზიციების დასუსტებას და გაბატონებული მდგომარეობის დაკავებას აღმოსავლეთის კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ინგლისის მმართველი წრეების ომისშემდგომმა საგარეო პოლიტიკამ სასტიკი მარცხი განიცადა. ინგლისის „კავშირი" ამერიკასთან წარმოადგენს ინგლისელთა უსიტყვო კაპიტულაციას ამერიკელთა წინაშე. დღეს ინგლისი ამერიკის მხოლოდ უმცროსი პარტნიორია. დამოკიდებულება მათ შორის ანტაგონისტურად განწყობილი პარტნიორების დამოკიდებულებაა. მათი კავშირი აღსავსეა ბრძოლით, შინაგანი წინააღმდეგობებით.

ამერიკელი იმპერიალისტები დიდ „მზრუნველობას" იჩენენ ეგვიპტის მიმართ. ისინი გზავნიან ეგვიპტეში „ექსპერტებს", „სამეცნიერო" ექსპედიციებს, „მრჩევლებს". ეგვიპტური გაზეთი „ალ-ქუთლია" ჯერ კიდევ სამი წლის წინათ წერდა: „თქვით პირდაპირ, რომ დღეს ამერიკის გავლენა ცვლის ინგლისის გავლენას და ნუქრაში-ფაშა დათმობაზე მიდის". გამორიცხული არ არის, რომ ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულებისა და 1899 წლის კონვენციის დენონსაციის შესახებ ეგვიპტის პარლამენტის გადაწყვეტილების გამოტანის წინ ამერიკელმა „მრჩევლებმა" გარკვეული მოსაზრებით ინახულეს ეგვიპტის მთავრობის წარმომადგენლები. აკი ამას წინათ სირიული გაზეთი „ალ კაფილია" წერდა: „ამერიკა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეგვიპტე შეუერთდეს ჩრდილოეთ-ატლანტიკის კავშირს და არ დადოს ინგლისთან „ხელშეკრულება საერთო დაცვის საკითხებზე".

როგორიც უნდა იყოს ეგვიპტის პალატის გადაწყვეტილების მიზეზი, ერთი რამ ნათელია: ამერიკის იმპერიალიზმი ეგვიპტელი ხალხის ისეთივე დაუძინებელი მტერია, როგორიც ინგლისის იმპერიალიზმი.

ამერიკის იმპერიალიზმი, ისევე როგორც ინგლისის იმპერიალიზმი, მონობის, კაბალის, სიღატაკის, შიმშილის და სიკვდილის გარდა ვერაფერს ვერ მისცემს ეგვიპტელ ხალხს.

ეგვიპტელმა ხალხმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ბრძოლა ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რაც ნიშნავს ბრძოლას მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის.

**გივი მელაძე**

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ ამერიკა-ინგლისის ინტერვენციონისტული ჯარების გაფთრებული იერიშების მოგერიებას და დიდ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტზე ინჯეს ჩრდილოეთით მდებარე რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები, რომელიც ცდილობდა გაერღვია სახალხო არმიის თავდაცვის ხაზი.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი, რომლებიც ბარბაროსულად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ სარივონის, სონჩონის, ანბენისა და სხვა ქალაქების რაიონთა მშვიდობიან მოსახლეობას.

# უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა.

ირანის დელეგაცია სხდომას არ დასწრებია. ირანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტატს-მდივანმა ფატემიმ წინა დღით პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ირანის დელეგაციის დასწრება საბჭოს სხდომაზე საჭირო აღარ არის, რადგან „ჩვენი მუშაობა იქ დამთავრებულია".

საფრანგეთის წარმომადგენელმა ლაკოსტმა განაცხადა, რომ რამდენადაც საბჭოს ზოგიერთ წევრს აწუხებს ის გარემოება, რომ საერთაშორისო სასამართლოს ჯერ არ გადაუწყვეტია, აქვს თუ არა მას იურისდიქცია, უშიშროების საბჭოსთვის მიზანშეწონილი იქნებოდა კამათი რეზოლუციის ინგლისური პროექტის გამო გადაედო მანამდე, სანამ საერთაშორისო სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას იურისდიქციის შესახებ.

ინგლისის წარმომადგენელმა ჯებმა აღნიშნა, რომ 7 ხმის უმრავლესობა, რაც საჭიროა რეზოლუციის ინგლისური პროექტის მიღებისათვის, უკვე არ არსებობს, რამდენადაც იუგოსლავიის წარმომადგენელს აღარ სურს ხმა მისცეს ამ რეზოლუციას. ჯებმა მხარი დაუჭირა საფრანგეთის წინადადებას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ოსტინმაც მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ცარაპკინი. მან მოაგონა საბჭოს, რომ საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგი იყო ამ საკითხის შეტანისა დღის წესრიგში ამ საფუძვლით, რომ უშიშროების საბჭოს მიერ მისი განხილვა ნიშნავს ირანის საშინაო საქმეებში ჩარევას, აგრეთვე ირანელი ხალხის სუვერენიტეტის აშკარა დარღვევას. ცარაპკინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციამ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ეს საკითხი დღის წესრიგში იქნებოდა შეტანილი, განაცხადა, რომ მას შეუწყნარებლად მიაჩნია უშიშროების საბჭომ განიხილოს ეს საკითხი.

ამავე საფუძვლით, თქვა დასასრულ ცარაპკინმა, საბჭოთა დელეგაცია ვერ დაეთანხმება საფრანგეთის წინადადებას, რადგან კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების საბჭოს არ შეუძლია განიხილოს ეს საკითხი.

საფრანგეთის წინადადების მიღებას ხმა მისცეს გომინდანელმა და ეკვადორის, ჰოლანდიისა და ინდოეთის წარმომადგენლებმა.

იგი მიღებულ იქნა 8 ხმით. საბჭოთა დელეგატმა ხმა მისცა წინააღმდეგ, იუგოსლავიისა და ინგლისის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს.

**ნიუ-იორკი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც მოისმინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კაშმირის საკითხის წარმომადგენლის გრეჰემის ინფორმაცია.

შეაჯამა რა კაშმირის საკითხზე ინდოეთსა და პაკისტანს შორის დავაში თავისი „შუამავლობის" შედეგები, გრეჰემმა განაცხადა, რომ ინდოეთსა და პაკისტანს შორის უთანხმოების გამო „მან ვერ შეძლო მისთვის მიცემულ ვადაში განეხორციელებინა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია კაშმირისა და ჯამუს დემილიტარიზაციის შესახებ".

გრეჰემის გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭოს სხდომა დაიხურა. კაშმირის საკითხზე შემდეგი სხდომა პარიზში გაიმართება.

# ინგლისი ზეგავლენას ახდენს ეგვიპტეზე

**ლონდონი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო კაიროდან იუწყება, დღეს პორტ-საიდში ჩავიდა ინგლისის კრეისერი „გამბია".

# ეგვიპტის მთავრობის საპროტესტო ნოტა ინგლისისადმი

**ლონდონი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს მიერ კაიროდან მიღებული ცნობიდან ჩანს, დღეს ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინგლისის საელჩოს გადასცა ნოტა, რომლითაც ეგვიპტის მთავრობა პროტესტს აცხადებს სუეცის არხის ზონაში ინგლისის ძალადობის წინააღმდეგ.

# ანტიიმპერიალისტური დემონსტრაცია ეგვიპტეში

**კაირო,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები „ალ-მისრი" და „ალ აჰრამი" იუწყებიან, გუშინ ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციები გაიმართა ალექსანდრიაში, მანსურში, ბენი-სუეიფსა და ეგვიპტის ბევრ სხვა ქალაქში.

ალექსანდრიაში მოეწყო მუშათა და სტუდენტთა დიდი დემონსტრაცია. დემონსტრანტებსა და ეგვიპტის პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. პოლიციელებმა დემონსტრანტებს სროლა აუტეხეს და დაჭრეს ოთხი სტუდენტი. ამის პასუხად დემონსტრანტებმა ქვა დაუშინეს პოლიციელებს. დაშავებულია ერთი ოფიცერი და 14 პოლიციელი.

# ინგლისის ჯარების მოქმედება ეგვიპტეში

**კაირო,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი" იუწყება, გუშინ ინგლისელებმა დაიკავეს ახალი პუნქტები, საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციათა ხაზები სუეცში, ფორტი აგრუბა და საზღვაო ნავსადგური აბადია, რომელიც მათ დანაღმეს. იუწყებიან აგრეთვე, რომ ინგლისის ჯარებმა მოშალეს მიმოსვლა კაირო-სუეცის გზაზე.

გაზეთები იუწყებიან, რომ სუეცის არხის ზონასა და სუდანში ჩავიდა ინგლისის ჯარების ახალი კონტინგენტი.

გაზეთ „ალ-მისრის" სპეციალური კორესპონდენტი ხართუმიდან იუწყება, რომ გუშინ სუდანის ნავსადგურში ხომალდით ჩაიყვანეს 400 ინგლისელი ჯარისკაცი, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაგზავნეს ხართუმს.

# პალმ დატის განცხადება

**ლონდონი,** 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ უონსტიდში (ლონდონის ახლოს) სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პალმ დატმა, რომელმაც განაცხადა, ინგლისელთა მოქმედება ეგვიპტეში საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. „ცენზურის რკინის ფარდის შემწეობით ფარავენ ეგვიპტის ნამდვილ მდგომარეობას, რომელიც სწრაფად იქცევა გამოუცხადებელ ომად. ინგლისსა და ეგვიპტეს შორის ნამდვილი ომი თავიდან რომ ავიცილოთ, დრო აღარ უნდა დავკარგოთ".

დატმა განაცხადა, რომ უკანასკნელი 70 წლის მანძილზე—მას შემდეგ, რაც ინგლისმა ყუმბარა დაუშინა ალექსანდრიას და თავს მოახვია ეგვიპტეს სამხედრო ოკუპაცია, ინგლისის მთავრობებმა, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ, საერთოდ 60-ჯერ განაცხადეს ეგვიპტიდან წავალთო. „იმ გარემოებამ, რომ ლეიბორისტულმა მთავრობამ არ შეასრულა ეს ვალდებულებანი და ეპოტიჭებოდა სწორედ იმ მეთოდებს, რომლებსაც საგარეო საქმეთა მინისტრი მორისონი მე-19 საუკუნის იმპერიალიზმის მეთოდებს უწოდებს, გამოიწვია ახლანდელი მდგომარეობა...

რა უფლება გვაქვს ჩვენ დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ გაგრძელდეს სხვა ქვეყნის ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია და ამავე დროს ვიმოქმედოთ ამ ქვეყნის მთავრობისა და ხალხის მიერ გამოთქმული ნების წინააღმდეგ? შუა აღმოსავლეთის პრობლემათა მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება ის არის, რომ დაუყოვნებლივ გამოვიყვანოთ ჩვენი ჯარები და დავიწყოთ მოლაპარაკება ყველა საკითხის შესახებ შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის სრული აღიარების საფუძველზე".

## დღეს თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — „ყაჩაღები" (დილას), „პირველი ნაბიჯი" (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მეთორმეტე ღამე" (დილას), „მისი ვარსკვლავი" (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — „სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება" (დილას), „ცოცხალი ლეში" (32-ე და 33-ე აბ. საღამოს); **სომხური დრამის**— „ფაქიზი განცდები" (დილას), „სოსო და ვარდითერი" (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „ბრწყინვალე მომავალი" (დილას და საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**— „ბედნიერებისაკენ" (38-ე აბ. 12 ს.), „სიპატუკე ბელადისა" (მე-6 აბ. 7 ს. ); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„ორი კაპიტანი" (10 ს.), „მშვენიერი ვასილისა" (3 ს.), „განწირულნი" (8 ს.); **თოჯინების ქართული**—„ბაკი-ბუკი" (11 ს.), „გაზაფხულის ყვავილი" (3 ს.); **სანკულტურის**—„მეგობრები" (დილას), „კარგი ამხანაგი" (საღამოს).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის,** „ოქტომბერი" — „ჩემი საუნჯე"; „ამირანი"—„ვენური კვარტეტი"; „სპარტაკი", 26 **კომისრის სახელობის** — „რომი ღია ქალაქია"; „თბილისი"—„ლამის სერენადა"; „კომკავშირელი" — „თქმულება ციმბირის მიწაზე"; „ისანი"—„ერთი ცხოვრების ისტორია"; „კოლხიდა"—„ჭალარა ქალიშვილი"; „დიდუბე"—„არშინ მალ-ალან"; კოლმეურნე"— „ფლორია ტოსკა"; **კიროვის სახელობის**—„ჭალარა ქალიშვილი".

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**22 ოქტომბერს**

6.45 — მარშები. 9.20—ქართული ხალხური სიმღერები. 18.10—ქართველ კომპოზიტორთა რომანსები და სიმღერები ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის შალვა ვაშალომიძის შესრულებით. 19.15—სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30—ქალაქის ქსელით—კონცერტი ლისტის ნაწარმოებებიდან. 20.30—რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45—ლექცია „კომუნისტური პარტიის მანიფესტი"—მარქსიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტი". 21.30—ღვორჟაკის საფორტეპიანო ნაწარმოებები ელენე რჩეულიშვილის შესრულებით. 21.55—ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 22.40—ლიტერატურული გადაცემა. 23.00—კონცერტი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ელისაბედ გოსტენინის და საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ლევან დევდარიანის მონაწილეობით. 24.00—საბალეტო მუსიკის კონცერტი.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველო იუწყება **ილარიონ აექსენტის-ძე გაგუას** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაკები იუწყებიან **ირაკლი ბეკოს-ძე დემურიას** გარდაცვალებას.

ნეკროლოგი

# ამხ. ნიკოლოზ კიკნაძის ხსოვნას



18 ოქტომბერს გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე ამხ. ნიკოლოზ დავითის-ძე კიკნაძე.

ამხ. ნ. კიკნაძე დაიბადა 1885 წელს ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ზარიანში. 1902 წელს, ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს, ნ. კიკნაძე შედის მოსწავლეთა მარქსისტულ წრეში და ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. 1903 წელს ამხ. კიკნაძე უკვე ბოლშევიკური პარტიის წევრია და ითვლება ქუთაისის მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთ წარმომადგენლად რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტში.

1904-1905 წლებში ამხ. ნ. კიკნაძე რსდმ პარტიის იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის დავალებით ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას ქუთაისის მაზრის სოფლების გლეხობაში.

1905 წლის დეკემბერში ამხ. ნ. კიკნაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქუთაისის გუბერნიის მუშათა და გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებაში.

1906 წლის იანვრიდან ამხ. ნ. კიკნაძე მუშაობდა ვლადიკავკაზის, გროზნოსა და ოდესის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. 1907 წლიდან იგი იმყოფება ემიგრაციაში (ჟენევაში) და მუშაობს საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ჯგუფში.

1918 წელს ამხ. კიკნაძე ბრუნდება საქართველოში, თანამშრომლობს ბოლშევიკურ გაზეთებში „ვოლნასა" და „კომუნისტში" და აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლაში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

1921 წლის მარტიდან ამხ. ნ. კიკნაძე ინიშნება გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორად და ამ თანამდებობაზე მუშაობს 1936 წლის იანვრამდე.

1936 წლის იანვრიდან 1951 წლის ივლისამდე ამხ. ნ. კიკნაძე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორად, ხოლო 1951 წლის ივლისიდან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილედ.

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხ. კიკნაძეს ახასიათებდა თავმდაბლობა, გულისხმიერება და დაკისრებულ დავალებათა პირნათლად შესრულება. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და ორი მედლით.

ამხ. ნიკოლოზ კიკნაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი**

# მაღაროელები სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში

**ჭიათურა.** (საკ. კორ.) მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო კურორტებზე დაისვენა 643 მაღაროელმა. 232 კაცმა დაისვენა სანატორიუმებში, ხოლო 411 კაცმა დასასვენებელ სახლებში. ამ საქმეზე მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის რაიკომმა 322.000 მანეთი დახარჯა.

წელს 300-ზე მეტმა მაღაროელმა დაისვენა აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტ კვერეთში. მაღაროელებისათვის იქ მოწყობილი იყო სანატორიუმის ტიპის მომსახურება.

# რუსთავის მეტალურგების ბავშვთა დასასვენებელი სახლი სურამში

**სურამი.** (საკ. კორ.). რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექცია მუშამოსამსახურეთა ბავშვებისათვის კურორტ სურამში აშენებს ოთხკორპუსიან დასასვენებელ სახლს, სადაც ერთდროულად 500 ბავშვი დაისვენებს.

დასასვენებელი სახლის მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე დაიხარჯება მილიონნახევარი მანეთი. სახლი მზად იქნება 1952 წლის საკურორტო სეზონისათვის.

# რკინიგზის ახალი სადგური

**კასპი.** (საკ. კორ.). რკინიგზის არსებული სადგური კასპში ვერ აკმაყოფილებდა მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ გადაწყდა კასპის დასავლეთ მხარეზე აგებულიყო ახალი სადგური. ახლა აქ გაცხოველებული მუშაობაა. მშენებლობა წელს დამთავრდება. ახალი სადგური ლამაზად იქნება გაფორმებული.

# საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში

**ორშაბათს, 22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე** საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა აწყობენ პროფესორ ა. ანდრონიკაშვილის მოხსენებას თემაზე: „რეალისტური ოპერის თეატრში".

კამათში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის თეატრების რეჟისორები, კომპოზიტორები, კრიტიკოსები.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი**—მოწინავე—ზრუნვა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებისათვის.

საერთო სათაურით „სამგორის მშენებლობა—ქართველი ხალხის სიამაყე" წერილები: კოლმეურნეთა მიერ წარგზავნილები. ჩვენი ღვიძლი მშენებლობა.

საქართველოსა და დონბასელ მეშახტეთა შეჯიბრება. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკების დაჯილდოება. ორდენებისა და მედლების გადაცემა რკინიგზელთა ჯგუფისათვის. კურკოვანი ხეხილის 205.000 კილოგრამი თესლი თბილისის მიდამოების გასამწვანებლად.

**მეორე გვერდი** — საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ჩვენი მძლავრი სამშობლო.

საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. სომხეთის მეცხოველეების ჩამოსვლა საქართველოში.

**მესამე გვერდი** — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

**მეოთხე გვერდი**—უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. სადღეისო თემაზე—სამგზავრო „ტაქსი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**გ. ნანიტაშვილი**

მეუღლე ფრიდა, შვილები სერგოვა, ალექსანდრე, ძმები ბაგრატ, გიორგი, და თამარ კიკნაძეები ოჯახებით, ეკატერინე ტარხნო იუწყებიან **ნიკოლოზ დავითის-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-X, 1 ს. გამოსვენება 21-X, 2 ს. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კლუბიდან. მარჯანიშვილის, 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება **ნიკოლოზ დავითის-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას.

საქპოლიგრაფგამომცემლობის ფოტოცინკოგრაფიის კოლექტივი იუწყება **ნიკოლოზ დავითის-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნატაშა, ძმა ლეონტი, ა. როგავა, თ. ყუფუნია, ვ. მაქაცარია, გ. შენგელაია, ვ. ბეჟუაია იუწყებიან **ვლადიმერ მაქსას-ძე როგავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-X ახალსოფელში (ზუგდიდის რ.).

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **კონსტანტინე ბეკოს-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-X, ქ. წულუკიძეში.

მეუღლე თამარ, შვილები ზაური, ალიოშა, ძმები სამსონ, სანდრო, კონსტანტინე, რძლები თამარ, ნინო, ნადია, ლუბა, ძმისწულები ალისტორ, მიხეილ, ჯემალ იუწყებიან **ვიქტორ ივანეს-ძე გობეჯიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-X ზურუთში (ონის რ.).

მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება იუწყება **ნიკოლოზ ივანეს-ძე ბუაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო იუწყება გენერალ-მაიორ **ილარიონ აექსენტის-ძე გაგუას** გარდაცვალებას.

ბიძა ზუხუ გაგუა, ბიძაშვილები გოგუცა, ეთერ, სიძე ერეკლე აბაშიძე შვილებით აგით და თამაზით იუწყებიან **ილარიონ აექსენტის-ძე გაგუას** გარდაცვალებას.

რძალი ნინო, შვილიშვილები შოთა, ზეინაბ, კოტე, ქეთი, ჯემალ ეპიტაშვილები, ძმისწულები ლუბა, ჯადარიოზ ბარამიძეები იუწყებიან **მარიამ ანდრიას ასულ ბეგელიშვილ-ეპიტაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-X, 3 ს. ვერცხლის, 29.

მშობლები ირაკლი, მართა, და მარგო, ბიძა სამსონ ოჯახით იუწყებიან **ევნია ირაკლის ასულ სიხარულიძე-ქემოკლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-X, 7 ს. გამოსვენება 25-X, 4 ს. მაგისტრალის, 6.

მშობლები ვერა, დომენტი, დები ანგელინა, ქეთო, ძმა გივი, რძალი გუგული იამანიძეები, სიძე მიხეილ, დისწული რეზო ცანავები იუწყებიან **შოთა დომენტის-ძე იამანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-X ს. ძეგვში (თეთრიწყაროს რ.).

მეუღლე ელენე, შვილი თამარ, სიძე ამბროსი, შვილიშვილები ზეინაბ, ზურაბ სხირტლაძეები, ძმები კალისტრატე, ლეონიდ ოჯახებით იუწყებიან **სევერიანე პორფილეს-ძე კამკამიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-X, 4 ს. რიონჯვასის, 15.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრებისა — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03276